# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 22 თებერვალი 2005 №38 (2361) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



**დინამომ ბრაზილია ათამაშა**

პასუხი მარტში იქნება

2



**ალექსანდრე გოგობერიშვილს ბაქიმ დაუძახა**

მორიგი ქართველი აზერბაიჯანში

2



**შევა სიკვდილს გადაურჩა**

5

# დლეიდან ფეხბურთი ლიგალურია

## ათათურქის სტადიონი 25 მაისს ელის



# აი, ვერსია: აივერსონი



კალათბურთისგან დაღლილმა ამერიკამ ამ დღეებში კალათბურთით დაისვენა. ყოველი თებერვლის მესამე კვირა ნბა-ში ოლ სტარს ეკუთვნის, რაც გართობას, ჯამბაზობას, პრანჭვა-გრეხვასა და, რა თქმა უნდა, ლამაზ სანახაობას ნიშნავს. ამ უქმეებზეც დიდი „ყეენობა" მოეწყო დენვერის „პეპსი სენთერში", რომელიც მრავალი სახალისო კონკურსებისა და ახალბედათა ბურთაობის შემდეგ ნბა-ს სუპერვარსკვლავების შერკინებით დასრულდა. დენვერში შეიკრიბა ყველა, ვისაც ოკეანგაღმა სიტყვა ეთქმის. იქ იყვნენ ძველი, აღიარებული ვარსკვლავები და ისინიც, რომელთა ნბა-ს კაბადონზე ამობრწყინება დროის ამბავიღაა. ლებრონ ჯეიმსი, დუეინ ვეიდი, ამარე სტუდემაიერი — ეს ტრიო ნბა-ს ხვალინდელი დღეა, ამ ჯერზე კი უძვირფასესის საპატიო ტიტული ოლ სტარის ყველაზე დაბალ, თუმც არნახულად სხარტსა და გონებამახვილ ალენ აივერსონს ერგო. შაკილ ონილიც ბაყბაყ დევივით დააბოტებდა მოედანზე, ბოლოს კი თავიც შეიქო და აივერსონსაც არ დაამადლა კეთილი სიტყვა — ის ჩემი პატარა ვერსიააო.



დიდი შანსია, რობერტო როსამ და გია გეგუჩაძემ ერთად იმუშაონ

# დინამომ ბრაზილია ათამაშა

## პასუხი მარტში იქნება

**თბილისის** „დინამოსა" და „ლოკომოტივს" ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში, ეტყობა, ამხანაგური მატჩები შემოაკლდათ და გუშინ „ოლიმპის" ხელოვნურსაფარიან მოედანზე ერთმანეთს გაეჯიბრნენ.

„დინამომაც" და „ლოკომოტივმაც" საამმატჩოდ ექსპერიმენტული შემადგენლობები შეარჩიეს და აკი დინამოელთა შორის სამი ბრაზილიელიც იყო. იმის თქმაც შეიძლება, რომ გუშინდელი მატჩი „დინამოს" პოტენციური ახალწვეულების გამოსაცდელად უფრო შედგა.

თბილისში ორიოდ დღის წინ ჩამოსულ ბრაზილიელთაგან 25 წლის მეკარე ჯონატას კუნეგეტომ და 23 წლის ფორვარდმა რაფაელ სანტოს სილვამ 90-90 წუთი ითამაშეს. სტუმართაგან უმცროსი, 20 წლის მცველი რენატო ალვეში კი მატჩის ბოლოსკენ შეცვალეს.

ერთი, მით უმეტეს, ამხანაგური თამაშის შემდეგ ფეხბურთელების შესაძლებლობების შეფასება შეცდომა იქნება და ეს არც „დინამოს" მწვრთნელ გია გეგუჩაძეს გაუკეთებია. ისე კი, ბრაზილიელებზე პირველი შთაბეჭდილება რომ გაგიზიაროთ და ვთქვათ, დიდი ვერაფერიო, არ გადავაჭარბებთ.

ვნახოთ, საბოლოოდ როგორ დასკვნას გააკეთებს „დინამოს" თავკაცი, იქამდე კი ეს გვითხრა:

— „დინამო" არ ჩქარობს. ფეხბურთელთა შერჩევისას არ უნდა შევცდეთ და ამიტომაც ბრაზილიელებზე დღეს ვერაფერს გეტყვით. ჩვენ მარტის ბოლომდე დრო გვაქვს, მათ კიდევ დავაკვირდებით და მერე გადავწყვეტთ, დავიტოვოთ თუ არა ისინი. ფიზმომზადების მწვრთნელის რობერტო როსას „დინამოში" დარჩენა კი უახლოეს დღეებში, ალბათ, დადებითად გადაწყდება."

დინამოელი ბრაზილიელების გარდა მოედანზე მათი ერთი თვისტომიც იყო — „ლოკომოტივის" ჩია თავდამსხმელი ჟეანი, ვინც ჩვენს ჩემპიონატში ბურთაობა უკვე მოასწრო: ქუთაისში, „ტორპედოსთან ნახევარი საათი ითამაშა. ჟეანი მწვრთნელმა ნოდარ აკობიამ ამჯერად შესვენებაზე შეცვალა. მისი ბრაზილიელი თანაგუნდელი რამონი კი ტრავმის გამო ისვენებდა, ისევე, როგორც დინამოელი რომერო — იგი როსასთან საუბრით ირთობდა თავს.

მატჩი კი „ლოკომოტივმა" 2:0 მოიგო. ორჯერვე ახალგაზრდა გიორგი კახელიშვილმა იყოჩაღა და კუნეგეტოს თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანა.

**კობა ინასარიძე**

***ბადრი კეთილაძის ფოტოები***



რენატო ალვეში



ჯონატას კუნეგეტო



რაფაელ სანტოს სილვა

# ბაკიმ გოგობერიშვილსაც დაუძახა

**კიდევ** ერთი ქართველი აზერბაიჯანში — თბილისის „ლოკომოტივის" 28 წლის ნახევარმცველმა და საქართველოს ნაკრების კანდიდატმა ალეკო გოგობერიშვილმა გუშინწინ სამეზობლოს ჩემპიონატის ლიდერ „ბაკის" მიაშურა.

ალეკომ აზერბაიჯანელებთან კონტრაქტი უკვე გააფორმა თუ არა, ჯერ უცნობია, მაგრამ ის კი ვიცით, რომ გოგობერიშვილი „ბაკის" ხელმძღვანელობას პირობებზე უკვე შეუთანხმდა და შესაძლოა, უახლოეს ტურშივე ითამაშოს. მას კი „ბაკიში" კიდევ ერთი ქართველი, მერაბ ძოძუაშვილი დახვდება.

**კობა ინასარიძე**

# სა(მ)ფრთხე

## ამერს ყაზახები ასესხეს და პენალტი მოჰპარეს

თურქულ ბელეკში დაბანაკებული „ამერისთვის" გუშინწინდელი დღე უჩვეულო ამბებით დახუნძლული გამოდგა. შეიძლება ისეც ითქვას, რომ „ამერი" მთელი დღე თამაშობდა — დილას სარეზერვო შემადგენლობით რუსეთის მეორელიგელ „სპორტაკადემკლუბს" შეხვდა, საღამოს კი, ძირითადი შემადგენლობით რუმინელი B დივიზიონის (ჩვენებური პირველი ლიგა) „პანდურიის" ეთამაშა.

ვინაიდან ერთ დღეს ორი თამაში უწევდა, თანაც ამირან კედელაშვილი, დავით სევასტოპულო და ოთარ ვარამიშვილი დაშავებულები არიან, გიორგი ჩიხრაძე პრობლემის წინაშე აღმოჩნდა — მის განკარგულებაში მყოფი ფეხბურთელებით ორი გუნდი არ იკრიბებოდა. მწვრთნელმა ასეთ გამოსავალს მიაგნო: „ამერთან" ერთ სასტუმროში მცხოვრები ყაზახური „ტობოლისგან" სამი ფეხბურთელი, მცველი, ნახევარმცველი და თავდამსხმელი ისესხა და დილის მატჩში, ანუ სარეზერვო გუნდში ათამაშა.

ათამაშა და, სამივემ თავი გამოიჩინა. მცველმა გურნიავკომ იმით, რომ თავისი სამეურვეო ფეხბურთელი ორჯერ გაექცა და შედეგად 28-ე წუთისთვის მოსკოველები 2:0 იგებდნენ. მაგრამ სხვა ორმა ნასესხებმა ფეხბურთელმა, ნურმაგომბეტოვმა და იურინმა ორი ბურთი გაქვითეს და თანამემამულის შეცდომებიც ამით გამოისყიდეს. ბოლოს კი, 85-ე წუთზე გიორგი სილაგავამ გამარჯვების გოლიც გაიტანა. 3:2 ჩვენების სასარგებლოდ.

*„ამერი B": ნაჭყეპია, გვაძაბია, ბერიანიძე, ელბაქიძე, გურნიავკო (ა. აბაშიძე 46), ბჟალავა, ნიკოლაიშვილი, მჭედლიშვილი (იურინი 46), სილაგავა, ნადირაძე (ჩიმაკაძე 72), ნურმაგომბეტოვი.*

საღამოს მატჩი კი 79-ე წუთზე ჩაიშალა და რუმინელთა სირცხვილით დასრულდა.

მწირმომენტიან თამაშს საფრთხე პირველად 38-ე წუთზე დაემუქრა, როცა ერთ-ერთმა რუმინელმა მეორე გაფრთხილება მიიღო, მაგრამ ისე გაჯიუტდა, მოედნიდან ბულდოზერი ვერ გაიყვანდა. ვითარება ისევ გიორგი ჩიხრაძემ განმუხტა, მსაჯს ანიშნა, თამაში გააგრძელოს, არ ვართ წინააღმდეგებიო.

66-ე წუთზე მატჩს მეორედ დაემუქრა ჩაშლის საფრთხე, ოღონდ ამჯერად რუმინელები უბრალონი იყვნენ — შუქი ჩაქრა.

პროჟექტორები ხელახლა დაახლოებით 15 წუთში აინთო და თამაშიც ისევ გაგრძელდა — 79-ე წუთამდე. აქ კი რა მოხდა: გიზო ჯელაძის შეჩერების სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, ერთმა რუმინელმა თავისსავე თანაგუნდელს ხელი ჰკრა და ჯელაძეს მიახეთქა (!). ჯელაძემვე ჯარიმით ბურთი საჯარიმო მოედანში ჩაჰკიდა, სადაც გიორგი დავითნიძესთან უხეშობის გამო მსაჯმა პენალტი დანიშნა. რუმინელებმა მსაჯის გადაწყვეტილება კარგა ხანს აპროტესტეს, მაგრამ არაფერი გაუვიდათ და დანებდნენ — ბურთი თეთრ ნიშანზე დაიდო. მაგრამ არ დანებდა მათი მწვრთნელი ემილ შანდოო, რომელიც მინდორზე შევიდა, ბურთი ამოიღლიავა და დავითაშვილს პენალტით გატანა არ დაანება. ტაბლოზე 0:0 დარჩა.

**გიორგი დარჯანია**

***ბელეკიდან***

# დავით ჩალაძე ლატვიაში დაიკარგა

**კვიპროსული** „ანართოსისიდან" აბარგებული დავით ჩალაძე ჯერაც უქმადაა. ქართველ თავდამსხმელს ოფიციალურად არც ერთ გუნდთან არ გაუფორმებია კონტრაქტი, თუმც აქა-იქ გაკვრით კი ითქვა, ჩალაძე ლატვიური უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „ვენტაში" ჩაირიცხებაო.

ასე თუ ისე, ჩალაძე დღემდე არც „ვენტაში" გამოჩენილა და მის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ცნობებიც ვრცელდება. ორიოდ დღის წინ ლატვიური „სკონტოს" ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაიწერა, ჩალაძე დღედღეზე სკონტოელი გახდებაო. ეს ინფორმაცია ლატვიელი ჟურნალისტებისთვის იმდენად მოულოდნელი გამოდგა, რომ კომენტარისთვის „სკონტოს" თავკაც იურის ანდრეევსს მიადგნენ: „ეს შეცდომაა" — მოკლედ მოჭრა მწვრთნელმა.



ამასობაში ანდრეევსმა ტაშკენტურ შეკრებაზე წასაყვანი ფეხბურთელების ვინაობა გაამხილა და მათ შორის მართლაც არაა ჩალაძე.

— ჩალაძეზე მეტს ვერაფერს გეტყვით... ისიც ნაღდია, რომ ჩვენთან აღარ ითამაშებს გიორგი ყიფიანი — განაცხადა ანდრეევსმა.

და სად არის ჩალაძე?!

**კახა შალამბერიძე**

### ინგლისი

კონფერენსლიგა XXXI ტური

**ძროული 2:1 მორიკემბი**

### იტალია

სერია B. XXVII ტური

**პერუჯა 0:1 სალერნიტანა**

სერია C1/A. XXV ტური

**გროსეტო 1:1 პრო პატრია**

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXII ტური

**დუისბურგი 0:1 მიუნხენი**

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXVI ტური

**ბრესტი 1:0 ლე მანი**

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXII ტური

**ბენფიკა 2:1 ვიმარაეში**

## დავით ყიფიანის თასი

მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

# ოთში კარისკენ ვინ გაიხედავს?!

ბათუმი. 21 თებერვალი. 14 საათი. დინამო. 500 (ტევადობა 5 000)

**ბათუმი 0:0 ზესტაფონი**

**ბათუმი:** სოლოლაშვილი, ი. მახარაძე, გალოგრე, ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი, ხუჯაძე, ცანავა (ხომერიკი 46), ღლონტი, გ. მანჯავა, დარჩიძე (პ. ჩოხელი 65), გონჩაროვი (ხარაზი 76)
*სათადარიგონი:* ბალაძე, ბექო თედორაძე, ფირცხალაიშვილი, გოგიშვილი
**მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

**ზესტაფონი:** ქვაჩახია, გვარუციძე (ნუდნი 21), ჩიკვილაძე, შ. ლონდაძე, ს. თოდუა, გუჩუა, შავგულიძე, განუგრავა (ბესარაშვილი 62), კ. ჩხეტიანი, თურმანიძე (სულაკაძე 88), იონანიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ბ. ნოზაძე, ზირაქიშვილი, გოცირიძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** ბეგლარ თედორაძე (43), ბესარაშვილი (74), ნუდნი (79)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კვარაცხელია



ექსბათუმელმა ზურაბ ქვაჩახიამ კარი მშრალად შეინახა

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

**სეზონის წინ** „ბათუმი" რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა, რაც გუნდის თამაშზე უკვე აისახა. ყველაზე დიდი დანაკლისი კი გიორგი ჭელიძის მოსკოვის „ლოკომოტივში" წასვლაა — ის ხომ ბათუმელთა ლიდერი იყო.

სადღეისოდ „ბათუმი" და „ზესტაფონი" მეტნაკლებად ერთი დონის გუნდებადაც შეიძლება ჩაითვალოს. ეს დადასტურდა თასის მეოთხედფინალის გუშინდელ მატჩშიც — ტაბლოზე დაფიქსირებული საბოლოო ანგარიში ლოგიკური იყო.

გუნდებს მოედნის საფარი სავალალო მდგომარეობაში დახვდათ, ფეხბურთელებს გადაადგილებაც კი უჭირდათ.

ბრძოლა ნაღდი კი იყო, მაგრამ მოთამაშეები შიგადაშიგ უხეშობასაც არ ერიდებოდნენ. არბიტრ პაატა დოგრაშვილსაც საქმე მიეძალა. არც ექიმები ყოფილან უსაქმოდ — აქეთ-იქით სირბილში ბევრი ოფლი ღვარეს.

მოედნის ყოველ კუთხე-კუნჭულში ძვლების ჭახა-ჭუხი თუ იყო, სამაგიეროდ, მეტოქეთა კარის სიახლოვეს, ფაქტობრივად, სახეირო არაფერი მომხდარა. ამიტომაც იყო, ხეირიან კომბინაციას და ორ გადაბმულ პასს ვერსად ნახავდით.

ჰოდა, თამაშის ბოლომდე ჟურნალისტებს თითქმის არაფერი ჩაგვინიშნავს.

გამოსარჩევი ორად-ორი ეპიზოდი თუა, მასპინძლებმა რომ შექმნეს პირველ ტაიმში. ჯერ მარცხენა ფლანგიდან ბეგლარ თედორაძემ დააპირა საჯარიმოში ჩაწოდება, მაგრამ სველი ბურთი აეჭრა და მეკარისთვის უხერხული ტრაექტორიით კარისკენ წავიდა — ექსბათუმელმა ზურაბ ქვაჩახიამ დიდი გაჭირვებით კუთხურზე მოიგერია ბურთი.

მერე კი ბათუმელთა ტანმაღალმა მცველმა ნიკა გუშარაშვილმა ვიტალი დარჩიძის ჩაწოდებულ კუთხურს დაჰკრა თავი — ქვაჩახიამ ისევ იყოჩაღა.

*თემურ მახარაძე:* „ვიცოდი, რთული თამაში რომ იქნებოდა. თავიდან ძალიან გაგვიჭირდა, „ბათუმი" გვჯობდა, მაგრამ მერე თამაში გავათანაბრეთ. ანგარიშიც ლოგიკურად მიმაჩნია."

*ამირან გოგიტიძე:* „ცუდი მინდვრის მიუხედავად მაღალი ტემპი იყო. „ბათუმი" ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და დაბალანსებული გუნდი. ისე კი, თამაშით კმაყოფილი ვარ."

# პატარა ჭელიძე პატარა ლოკოში

**18 წლის** თავდამსხმელი გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე ანთალიაშია და მოსკოვის „ლოკომოტივის" დუბლშემადგენლობასთან ერთად ვარჯიშობს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი „ბათუმში" გაატარა, 7 გოლი შეაგდო და მისი აჭარულ კლუბში დარჩენა თითქოს გადაწყვეტილიც იყო, თუმც...

გეცოდინებათ, ჭელიძის მოსკოვურ „ლოკომოტივში" შესაძლო გადასვლაზე ჯერ კიდევ „თანამეგობრობის თასის" გათამაშებისას ლაპარაკობდნენ. „პაჭელოს" გარეშე ბათუმელთა თავდასხმა წარმოუდგენელიც ჩანდა, მაგრამ ზღვისპირელებმა მის სანაცვლოდ თბილისის „დინამოდან" ბორის გონჩაროვი გადაიყვანეს.

„ლოკომოტივის" ვებ-გვერდზე გიორგის პერსპექტიულ ფორვარდად მოიხსენიებენ და მანაც უკვე გაამართლა ავანსები — გუშინ „ლოკოს" დუბლებმა თურქულ „ანთალიასფორს" 4:0 მოუგეს, ჩვენიანმა ერთი ტაიმი ითამაშა და გოლის გატანაც მოასწრო.

აქვე გეტყვით, რომ „ლოკომოტივმა" ახალი სეზონისთვის ფეხბურთელები დანომრა — მალხაზ ასათიანს (30) და მიხეილ აშვეთიას (32) ნომრები არ შეუცვლიათ, მათე ღვინიანიძეს კი მაისურზე 25-იანი ეწერება.

**ილია ნანობაშვილი**

# ახალაია ათ დღეში განაახლებს



**გასულ** უქმეებზე შვეიცარიის სუპერლიგა განახლდა და „ციურიხმა" შინ აუტსაიდერ „შაფჰაუზენს" 1:0 მოუგო, თუმც ლადო ახალაიას ოფიციალური ციურიხული დებიუტი გადაიდო. ლადომ მატჩამდე ორი დღით ადრე ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და, როგორც ექიმებმა დაუდგინეს, დაახლოებით 10 დღე ვერ გავა მოედანზე.

ოფიციალურიო, კი ვთქვით, მაგრამ ახალაიამ შვეიცარიის თასის მეოთხედფინალში კი ითამაშა — „ციურიხმა" ჩელენჯლიგელ „ბელინცონას" 2:0 აჯობა და ნახევარფინალში „იანგ ბოიზს" შეხვდება. სუპერლიგაში კი ახალაიას გუნდი მეოთხე ადგილზეა და მეორეადგილოსან „თუნს" ოდენ 3 ქულით ჩამორჩება.

**ილია ნანობაშვილი**



# ჩია ზესტაფონელი დნესტრისპირეთიდან

## გაუფრთხილდით ნუდნების ოჯახს

*ახმაურებულ ზესტაფონში უცხო ტომის კაციც ჰყავთ. „ზესტაფონის" ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი, 24 წლის სერგეი ნუდნი მოლდოვიდანაა, დნესტრისპირეთიდან, თუმც პოლიტიკასთან და სეპარატიზმთან ნუდნის რა ხელი აქვს. ის იქიდან მხოლოდ ფეხბურთის სათამაშოდ ჩამოვიდა საქართველოში და ფულიან, „დინამოს" ნამქცევ პერიფერიულ გუნდში ჩია აღნაგობით, ბურთის მოგდება-დაჭერით და შეუპოვრობით გამოირჩევა.*

*ნუდნი შარშან, ზაფხულში ჩაირიცხა „ზესტაფონში". მაშინ გუნდს მოლდოველი მწვრთნელი ვლადიმირ ზემლიანოი ხელმძღვანელობდა და სერგეიც მისი შემწეობით მოხვდა იმერეთში...*

„საქართველოს ჩემპიონატს ნელ-ნელა ვეჩვევი. თქვენთან სწრაფად არ თამაშობენ, აქ ცოტა სხვა ფეხბურთია, მაგრამ მოლდოვურსა და ქართულ ფეხბურთს შორის დიდი განსხვავება არ არის. საქართველოში ფეხბურთელებს უყვართ თამაშის საკუთარ თავზე აღება" — ასეთია ნუდნის თვალშევლებული აქაურობა.

14 თებერვალს „ზესტაფონმა" საქართველოს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩში შინ „დინამოს" 1:0 მოუგო და მეოთხედფინალში გავიდა. ზესტაფონელთა დამრიგებელმა თემურ მახარაძემ ნუდნი პირველი ტაიმის მიწურულს შეუშვა მოედანზე და ეს ცვლილება გარდამტეხი აღმოჩნდა — „დინამომ" შუა ხაზში უპირატესობა დაკარგა, „ზესტაფონმა" იქით შეუტია სახელიან მეტოქეს და გაიმარჯვა.

„ეს ჩემი პირველი მატჩი იყო, თბილისის „დინამოს" რომ მოვუგეთ. სეზონის პირველი ეტაპის შემდეგ „ზესტაფონში" ცვლილებები მოხდა, ბევრი ახალი ფეხბურთელი მოვიდა და ახლა უფრო ადვილად გაგვაქვს თავი, გუნდის პროგრესი აშკარაა. „დინამო" ახლა შესაძლოა ჩვენზე ძლიერია, მაგრამ იმ კონკრეტულ მატჩში ჩვენ უფრო ძლიერები ვიყავით და ეს შანსი კარგად გამოვიყენეთ" — მიაჩნია ნუდნის.

როცა კარგი თანაგუნდელები გყავს, თამაში გიადვილდება — მოლდოველმა ეს კარგად იცის, მაგრამ ზესტაფონში ცხოვრება უცხოელისთვის როგორია? „ძნელია, მაგრამ რა გაეწყობა. ძალე ალბათ უკეთესობა იქნება. ისე, ზესტაფონში ცხოვრება არც ისე ცუდია" — ამბობს სერგეი, ვინც „ზესტაფონამდე" დნესტრისპირეთის გუნდებში თამაშობდა — „შერიფი" და „ტილიგული". ნუდნის ამ გუნდებში ფლანგებზეც უთამაშია, თავდასხმაშიც და თითქმის ყველა პოზიციაზე, თუმც მეტწილად იქ, სადაც ახლა „ზესტაფონში" ირჯება — ნახევარდაცვის ცენტრში.

რაც შეეხება ენობრივ ბარიერს, ნუდნის ეს პრობლემა სრულებით არ აწუხებს: „ქართულად თქმული თითქმის ყველაფერი მესმის და რაც ფეხბურთისთვის საჭიროა, თანაგუნდელებს ყველაფერს ვაგებინებ".

სეზონის პირველ ეტაპზე „ზესტაფონმა" ბევრი ქულა დაკარგა, ახლა ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზეა და აქცენტს თასზე აკეთებს. „დიდი შანსი გვაქვს, რომ „ბათუმიც" ჩამოვიცილოთ გზიდან. 26 მაისამდე დიდი დრო კია, მაგრამ ძალიან გვინდა, რომ თასი ზესტაფონში ჩამოვიტანოთ და ზესტაფონელებს ისეთივე ზეიმი მოვუწყოთ, როგორიც „დინამოსთან" გამარჯვებისას" — ეშხში შედის ნუდნი.

სერგეიმ ისიც გვითხრა, რომ ფეხბურთის თამაშის გარდა თევზაობა და ნადირობა ეხერხება, თუმც ზესტაფონში საამისოდ დრო არ რჩება. მაგრამ მოლდაველი ზესტაფონში მხოლოდ ფეხბურთით როდი ცხოვრობს.

„როცა ჩემი მეუღლე ზესტაფონში ჩამოდის, ცხოვრება მიადვილდება. ის 14 თებერვალს, თასზე „დინამოსთან" მატჩის დღეს ჩამოვიდა ზესტაფონში და ვავიმარჯვეთ. სადაც უნდა წამოვიდეს ჩემი ცოლი, ყველგან ვიგებთ. ხანდახან ის მატჩის შედეგს კი არა, ანგარიშსაც გამოიცნობს ხოლმე" — ზესტაფონელებს ისღა დარჩენიათ, ნუდნების ოჯახურ იდილიას თვალის ჩინივით გაუფრთხილდნენ.

**დავით თავართქილაძე**

# მერე რა, რომ მშრალია...



„ბებერი“ თემურ ქეცბაია რომ არა, ქართველ ლეგიონერებს მშრალი უქმეები გამოუვიდოდათ. ევროპაში მობურთალ ჩვენებურებს მძიმე ტურები ჰქონდათ და იმედია, მალე ძველებურ ალღოს დაიბრუნებენ. მივყვეთ მიმდევრობით...

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | კალიარი 1:0 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 11 | 1 | 1 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | გლადბახი 3:1 | 90 | | 21 | 3 | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ბოხუმი 1:3 | 0 | | 20 | 2 | 17 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ბოხუმი 1:3 | 90 | | 16 | 1 | 17 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | ბოხუმი 1:3 | 90 | | 4 | 0 | 17 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | უნტერჰახინგი 1:0 | 0 | | 13 | 2 | 6 |
| დავით სირაძე | ტრირი | შ | ალენი 2:0 | 59 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 11 | 1 | 10 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | სელტიკი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 17 | 4 | 1 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | სელტიკი 2:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 14 | 0 | 1 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | გრონინგენი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 8 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | შ | შაფჰაუზენი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 4 |
| **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | სიონი | ს | ბოლმი — გადაიდო | 0 | | 0 | 0 | 3 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ზალცბურგი 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 21 | 4 | 7 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | კალამარია 4:1 | 90 | საგოლე პასი | 17 | 0 | 4 |
| **თურქეთი. მეორე ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | ტელეკომი 4:1 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 0 | 4 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | აელ 1:3 | 45 | 1 გოლი, შეცვალეს | 17 | 9 | 2 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | ს | აელ 1:3 | 90 | | 15 | 2 | 2 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | ს | აელ 1:3 | 90 | | 18 | 5 | 2 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | აელ 1:3 | 0 | | 5 | 0 | 2 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | ოლიმპიაკოსი 2:2 | 90 | | 18 | 5 | 10 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | ს | პარალიმნი 2:2 | 0 | | 12 | 4 | 4 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

**კახა კალაძის „მილანი“ გალიდერდა.** სერია A-ს 25-ე ტურში „მილანმა“ ძლივს მოუგო „კალიარის“, თუმც ისიც სათქმელია, რომ ბოლო 17 წუთი მასპინძლები კაცნაკლულნი იყვნენ — კალაძის ერთ-ერთი კონკურენტი ჯუზეპე პანკარო მსაჯმა მოედნიდან გააძევა და ამან სწორედ ჩვენებურს უნდა გაუხსნას ძირითადის გზა. სამი ყვითელი ბარათის გამო დისკვალიფიცირებულმა კალაძემ „კალიარისთან“ მატჩს ტრიბუნიდან უყურა, თუმც მომავალ ტურებში ალბათ სასტარტო თერთმეტეულში ვნახავთ.

**ლევან კობიაშვილის „შალკემ“ კერკეტი „მიონხენგლადბახი“ 3:1 მოიგო** და კვლავაც კვალში უდგას „ბაიერნს“. კობიაშვილმა სრულად ითამაშა, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი კი ბრაზილიელი აილტონი გახდა, ვინც გლადბახელებს სამი გოლი გაუტანა.

**სასტარტო საფრთხე შეანელა „ფრაიბურგმა“** და კვლავაც უმძიმეს სატურნირო ჭაობშია. *ალექსანდრე იაშვილის* გარეშე მოთამაშე ფრაიბურგელები „ბოხუმს“ დაეჩაგვრინენ, თუმც დიდი შანსი იყო, შინ ქულა მაინც წაეღოთ. საქმე ისაა, რომ 70-ე წუთზე, როცა ანგარიში 1:1 იყო, „ფრაიბურგს“ მეკარე რიჩარდ გოლცი გაუძევეს და მასპინძლებმაც ამის შემდეგლა იხეირეს. *ლევან ცქიტიშვილმა* და *ოთარ ხიზანეიშვილმა* სრულად ითამაშეს.

**შვეიცარიის განახლებულ ჩემპიონატში ორი ქართველის დებიუტი გადაიდო.** ციურიხელი *ლადო ახალაია* ტრავმის გამო ვერ გავიდა მოედანზე, სიონელ *მიხეილ ყაველაშვილს* კი უამინდობამ შეუშალა ხელი: „ბოლმი“ — „სიონი“ გადაიდო.

**ტრავმის გამო ვერ შეეშველა გუნდს დავით მუჯირი.** „შტურმმა“ 3:1 მოუგო „ზალცბურგს“ და ახლა ცხრილში მე-7 ადგილზეა, რაც გრაცელებისთვის საამსეზონოდ საუკეთესო შედეგია. მუჯირი კი მოსამზადებელ ეტაპზე ნატკენ ფეხს ჯერაც მკურნალობს.

**და კვიპროსის „ქართული ჩემპიონატი“.** სადღეისოდ ამ კუნძულზე ყველაზე მეტი ქართველი თამაშობს და მათ შორის საუკეთესო *თემურ ქეცბაია* „ანართოსისის“ მოთამაშე-მწვრთნელი გუნდის საუკეთესო ბომბარდირია და აელ-თანაც სწორედ მან გამოიჩინა თავი, თუმც... „ანართოსისი“ 1:3 დამარცხდა და მეორე საფეხურზე დაქვეითდა — ლიდერი კი აპოელ-ია.



**შვეიცარიაში დაბრუნებულმა მიხეილ ყაველაშვილმა „სიონის“ მაისურა ჯერაც ვერ მოირგო**

**კახა შალამბერიძე**

## თქვენი ინტერვიუ

## შოთა არველაძესთან

**«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია**

***რუბრიკის მეორე რესპონდენტ შოთა არველაძესთან კითხვები 25 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ და მასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მარტამდე გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ, მათ ეროვნული ნაკრების მთავარმეგოლე უპასუხებს.***

მოგვმართეთ: ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნამუსი ნამუსია...

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელი, „მენჩესტერ იუნაიტედი" ამავე თასის ახალი გათამაშების მეოთხედფინალში ან საუთჰემპტონში ჩავა ანაც ბრენტფორდში. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდებმა თავიანთი მერვედფინალური ურთიერთობა შაბათს საუთჰემპტონში ვერ გაარკვიეს, 2:2 ითამაშეს და ახლა, პირველ მარტს, ბრენტფორდში გადათამაშება ელით.

„ნიუკასლი", რომელმაც კვირას პრემიერლიგის ლიდერი, „ჩელსი" გააგდო, „ტოტენჰემ ჰოთსპურსა" და „ნოტინგემ ფორესტს" შორის გამარჯვებულს უმასპინძლებს. ნიუკასლელებმა ბოლოს ასოციაციის თასი 1995 წელს მოიგეს, მისი მომავალი მეტოქე კი ნოტინგემში 2 მარტს გაირკვევა — ლონდონში, კვირას, ამ გუნდების მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა.

გაურკვეველადაა დარჩენილი „არსენალისა" და „შეფილდ იუნაიტედის" ამბავიც, ლონდონში, მათი კვირის თამაშიც ხომ 1:1 დასრულდა. ასე რომ, პირველ მარტს შეფილდში გადაათამაშებაა, თუმცა კენჭისყრამ ამთავითვე ცნობილი გახადა, რომ ამ წყვილის გამარჯვებული ბოლტონს გაემგზავრება.

დაბოლოს, „ბარნლისა" და „ბლექბერნ როვერსის" 0:0, პირველ მარტს ბლექბერნში უნდა „გაწყდეს", ხოლო შემდეგ გამარჯვებული, „ლესტერ სიტის" უმასპინძლებს.

ზემოხსენებულ „ჩელსის" ისლა დარჩენია, „ნიუკასლთან" შეხვედრაში გაძევებული იტალიელი მეკარის, კარლო კუდიჩინის ამბავი გააპროტესტოს, თორემ შაბათს, ინგლისში მეორე, ლიგის თასის ფინალია და ლონდონელთა იტალიელმა გოლკიპერმა ვერ უნდა ითამაშოს.

კუდიჩინი „სენტ ჯეიმს პარკზე" აშკარა საგოლე მომენტის წესების დარღვევით ჩაშლის გამო გააძევეს.

და, თქვენაც იკითხავთ, ხომ ჰყავს „ჩელსის" მეორე გოლკიპერიო? უფრო სწორედ, მეორე კუდიჩინია, თორემ პეტრ ჩეხი აშკარად პირველი მეკარე გახლავთ. ნუ იტყვით და „ჩელსის" მწვრთნელი, ჟოზე მაურინიუ კუდიჩინის ლიგის ფინალში თამაშს დაჰპირებია და რომ არ ათამაშოს, სიტყვის გატეხვა გამოუვა...

**პაპუნა ძიძია**



კარლო კუდიჩინი ინგლისის ლიგის თასის ფინალს გამოტოვებს

# შევა სიკვდილს გადაურჩა



**„მილანის"** განცხადებით უკრაინელ თავდამსხმელს, ანდრეი შევჩენკოს ძალიან გაუმართლა „კალიარის" ნახევარმცველთან, სიმონე ლორიასთან თავებით შეჯახების შემდეგ სიკვდილის პირას რომ არ აღმოჩნდა.

შეგახსენებთ, რომ „შავ-წითლების" მთავარ ვარსკვლავს ექიმებმა ერთვიანი მკურნალობა გამოუწერეს, რაც, როგორც ირკვევა ძალიან იღბლიანი შედეგი ყოფილა — ახლა, ყბის გატეხვის გამო მას „მხოლოდ და მხოლოდ" პლატინის ორი ფირფიტა აქვს ჩასადგმელი.

„დარტყმის ადგილი ერთი სანტიმეტრით მაღლა რომ მოსულიყო, მისი ცხოვრება არც მეტი, არც ნაკლები საფრთხეში იქნებოდა" — ბრძანა პროფესორმა მასიმალიანო სალამ.

ინციდენტი შაბათს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „მილანისა" და „კალიარის" შეხვედრის დროს მოხდა. ამ ამბავმა ავტომატურად ამოქაჩა მეხსიერებიდან 1982 წლის ნოემბრის შემთხვევა, როდესაც ლეგენდარული ჯანკარლო ანტონიონი „ჯენოას" მეკარე მარტინასთან შეჯახებიბის გამო კინაღამ მოკვდა — ანტონიონი მაშინ თავით მარტინას მუხლს შეასკდა.

„ფიორენტინას" ვარსკვლავმა გონება დაკარგა და საოპერაციო შეიქნა. მადლობა, ღმერთს, მაშინ ყველაფერი კარგად დამთავრდა...

შევჩენკოს შემთხვევაში თავიდან ეგონათ, რომ ფორვარდი მხოლოდ ორ თამაშს გამოსტოვებდა, მაგრამ ახლანდელი ვარაუდით იგი შესაძლოა, აღდგომის შემდეგ დაუბრუნდეს მოედანს.

**პაპუნა ძიძია**

# ჰოიზერს სამუდამო

**გერმანიის** საფეხბურთო კავშირის საკონტროლო კომიტეტმა ორშაბათს გამოიჩინა ინიციატივა და მექრთამეობაში მხილებული მსაჯის, რობერტ ჰოიზერის დასჯის მეთოდი შესთავაზა ძლიერთ ამა ქვეყნისა. კერძოდ, კომიტეტის წინადადებით ჰოიზერს უნდა დაეკისროს 50 ათასი ევროს ტოლფასი ჯარიმა და სამუდამოდ უნდა აეკრძალოს მსაჯობა.

შეგახსენებთ, რომ ჰოიზერი ცხრა დღის წინ დააპატიმრეს. საკონტროლო კომიტეტმა საფეხბურთო კავშირს თავისი მოპოვებული სამხილები შესთავაზა, თუმცა საქმის განხილვის თარიღი ჯერ არ დადგენილა. იმავდროულად, ბერლინის პროკურატურას ეჭვი აქვს ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე 25 ადამიანზე, რომელთა ერთობლივი მოქმედებით 2004 წელს გერმანიის ქვედა ლიგებში სულ მცირე ათი თამაში დასრულდა არაბუნებრივი შედეგით.

**პაპუნა ძიძია**




**ინგლისური** „ჩელსის" მცველი უეინ ბრიჯი სერიოზულად დაშავდა. მან ტრავმა „ნიუკასლთან" სათასო მატჩში „კაჭკაჭთა" კაპიტან ალან შირერთან შეჯახებისას მიიღო. 24 წლის ფეხბურთელს კოჭის ძვალი აქვს დაზიანებული და თუ მოტეხილობა დადასტურდა, ბრიჯი წლეულს ველარ ითამაშებს. ექიმები საბოლოო დიაგნოზს დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგღა დასვამენ.

**გერმანული** „ჰანზას" ხელმძღვანელობამ რაზუნდარა ტიკუზუს კლუბიდან მოკვეთა გადაწყვიტა. საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღის წინ ნამიბიელმა ტიკუზუმ კიდევ ერთხელ გააცდინა ვარჯიში. როგორც ირკვევა, 25 წლის ფეხბურთელი დისციპლინის დაცვით არასდროს გამოირჩეოდა, ხოლო ბოლო ინციდენტმა „ჰანზას" შეფობას მოთმინების ფიალა აუვსო. როგორც ჩანს, აფრიკელ მცველს ახალი კლუბის ძებნა დიდხანს არ მოუწევს — მისით „ჰამბურგია" დაინტერესებული.

**ინლისური** „მანჩესტერის" კარის დარაჯ როი კეროლისთვის გასულ უქმეებზე „ევერტონთან" მატჩისას მხოლოდ მონეტა კი არა, მობილური ტელეფონიც უსვრიათ. ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია უკვე შეუდგა ინციდენტის გამოძიებას და მალე ალბათ დამნაშავესაც დააკავებენ. „ჩვენ დავუკავშირდით ლივერპულის პოლიციას და საერთო ძალით ვეცდებით იმ პიროვნების ვინაობის დადგენას, რომელმაც ეს სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა" — ნათქვამია ასოციაციის ოფიციალურ განცხადებაში.

**იტალიური** „რომას" ბოსებმა კვლავ უარყვეს ჭორები იმის შესახებ, რომ თითქოს ანტონიო კასანო მომავალ ზაფხულს „იუვენტუსში" გადავა. „ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცით და არავითარი შეთანხმებაც არ არსებობს. არც ტოტისთან და მონტელასთან განშორებას ვაპირებთ. კასანოსთან ახლა კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ვაწარმოებთ მოლაპარაკებას და იმედია, მალე შევთანხმდებით კიდეც" — თქვა დედაქალაქური კლუბის პრეზიდენტის, ფრანკო სენსის მეუღლე როზელა სენსიმ.

**ესპანური** „სოსიედადის" თურქმა ფორვარდმა ნიჰათ კაჰვეჩიმ მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და დაახლოებით 6 თვე ვეღარ ითამაშებს. შესაბამისად, 25 წლის ფეხბურთელი პრიმერადივიზიონის მატჩების გარდა ეროვნული ნაკრების შეხვედრებსაც გამოტოვებს — ნიჰათი ალბანეთთან, ყაზახეთთან და საბერძნეთთან არ იქნება ბუნებრივია, ვერც თბილისში ჩამოჰყვება თურქეთს. „ძალიან დამწუხრებული ვარ, მაგრამ მომიწევს ამასთან შეგუება, ახლა მოთმინება და შრომა მმართებს. ახლა მთავარია, ოპერაციამ წარმატებით ჩაიაროს" — დასძინა თავდამსხმელმა.

**ინგლისური** „არსენალის" ნახევარმცველი ჟილბერტო მინდორზე დაბრუნებას მარტში გეგმავს. მოგეხსენებათ, იგი გასული სექტემბრის შემდეგ ზურგის ტრავმას მკურნალობს. თავად ბრაზილიელს ერთი სული აქვს, თამაშს როდის განაახლებს და ექიმებს აჩქარებს, მაგრამ „მეთოფეთა" თავკაცი არსენ ვენგერი სიდინჯეს იჩენს. „აჩქარება არ ღირს, სჯობს, ჟილბერტოს სრულად გამოჯანმრთელებას დაველოდოთ. ეს ეგებ აპრილშივე მოხდეს" — აღნიშნა ფრანგმა სპეციალისტმა.

**გერმანული** „კაიზერსლაუტერნის" ეგვიპტელი ლეგიონერი ჰანი რამზი მწვრთნელობას აპირებს. 35 წლის ფეხბურთელს მუხლის სერიოზული ტრავმის გამო 2003 წლის მერე არ უთამაშია და ჯერ კიდევ არავინ იცის, რამდენ ხანს გასტანს მისი სარეაბილიტაციო პერიოდი. „მიუხედავად ამ პრობლემებისა, კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ვფიქრობ. მინდორზე დაბრუნებამდე მწვრთნელობის შესწავლას ვიწყებ, ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ სწორედ ამ პროფესიას უნდა მივყვე", — განაცხადა რამზიმ.

**ესპანური** „ალბასეტეს" ხელმძღვანელობამ გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ხოსე გონსალესი დაითხოვა. იგი „ნუმანსიასთან" საშინაო მარცხმა შეიწირა. გონსალესის ადგილს დროებით სარეზერვო გუნდის დამრიგებელი მარტინ მონტივუდო დაიკავებს. თუმც, თუ „ალბასეტე" პრიმერადივიზიონში დარჩება და მონტივუდოს დებიუტიც წარმატებული იქნება, მასთან უფრო ხანგრძლივი კონტრაქტი გაფორმდება.

**პორტუგალიელი** ნახევარმცველი დეკო მოხარულია, რომ „ჩელსის" „ბარსელონა" არჩია. „შემეძლო, „სტემფორდ ბრიჯზე" გადავბარგებულიყავი, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ „ბარსაში" აღმოვჩნდი. ბევრი არც მიფიქრია. ინგლისში გადასვლა ჩემზე ცუდად იმოქმედებდა. კატალონიაში ცხოვრება გაცილებით უფრო საინტერესო და სახალისოა, ვიდრე ლონდონში" — თქვა დეკომ.

**ინგლისურ** „ლივერპულს" და „ნიუკასლს" ლაკორუნიის „დეპორტივოს" მცველ მარტინ სესარის ხელში ჩაგდება განუზრახავთ. „დეპორში" ფაბრიციო კოლოჩინის მისვლით შესაძლოა, სესარმა ძირითად შემადგენლობაში დაკარგოს ადგილი და გუნდის გამოცვლა თავადაც ისურვოს. მისი გადაბირება განსაკუთრებულად „კაჭკაჭთა" თავკაც გრემ სუნესს სდომებია. სესარზე თვალი რაფაელ ბენიტესსაც უჭირავს. ინგლისური კლუბები უახლოეს მომავალში მოლაპარაკების დაწყებას აპირებენ.

**ბელგიის** ნაკრების ყოფილი კაპიტანი მარკ ვილმოტსი „სენტ ტრუიდენის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვეს. ვილმოტსს, რომელმაც სამწვრთნელო კარიერა სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო, „სენტ ტრიუდენი" გასული წლის აპრილში ჩააბარეს, თუმცა მისი მუშაობა წარმატებული არ გამოდგა. კლუბი ბელგიის იუპილერლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერი და გავარდნის კანდიდატია. გასულ უქმეებზე „ოსტენდესთან" წაგება კი გუნდის ხელმძღვანელობისთვის ბოლო წვეთი იყო.

**ინგლისური** პრესის ცნობით, დიდი შანსია, „არსენალის" მცველი ეშლი კოული სეზონის ბოლოს „ბარსელონაში" გადაბარგდეს. ჭორებს თუ ვენდობით, კატალონიელები 20 მილიონ ევროს იხდიან და „კამპ ნოუზე" გადასვლა თავად კოულსაც ძალიან უნდა. შეგახსენებთ, რომ მისით „ჩელსი" და „რეალიც" არიან დაინტერესებულნი, ხოლო „მეთოფეები" ეშლისთან ახალი კონტრაქტის პირობებზე ჯერ ვერ თანხმდებიან.

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

## რეალი — იუვენტუსი

### სავარაუდო შემადგენლობები

| რეალი | იუვენტუსი |
|---|---|
| კასილიასი, სალგადო, ელგერა, სამუელი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი, გრავესენი, ზიდანი, რაული, რონალდო | ბუფონი, ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი, ნედვედი, დელ პიერო, იბრაჰიმოვიჩი |
| მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო | მწვრთნელი: ფაბიო კაპელო |

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

## ნუ იქნება ოღონდ გოლი...

**მადრიდის** „რეალმა" დღეს საღამოს, „სანტიაგო ბერნაბეუზე" „იუვენტუსთან" ადრე დაშვებული შეცდომა არ უნდა გაიმეოროს. გეხსომებათ, ორი სეზონის წინანდელი: „ბებერმა ქალბატონმა" ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა („რეალმა 2:1 მოუგო), ხოლო საპასუხო შეხვედრაში 3:1 მოიგო.

„მთავარია, რომ შინ გოლი არ გავუშვათ — უთხრა მადრიდელთა ცენტრალურმა მცველმა ივან ელგერამ ესპანურ გაზეთ „მარკას" — მხოლოდ 1:0-ც რომ მოვიგოთ, ძალიან კარგი იქნება, რადგან ტურინში მათ უკვე მთელი ძალებით მოუწევთ შეტევა და ჩვენც კონტრშეტევაზე გამოჭერის შანსი მოგვეცემა, მითუფრო, რომ მართლა ძალიან სწრაფი თავდამსხმელები გვყავს, მაგალითად რონალდო".

შეგახსენებთ, რომ სეზონის უღიმღამოდ დაწყების შემდეგ ახალი მწვრთნელის, ვანდერლეი ლუშემბურგოს ხელმძღვანელობით მადრიდელებმა რვა თამაშიდან ზედიზედ შვიდი მოიგეს და მიუხედავად იმისა, რომ გასულ შაბათს, შინ, ბილბაოს „ატლეტიკთან" მერვე წააგეს, თავის გასამართლებელი საბუთი აქვთ: „მათ შემადგენლობაში მთელი 90 წუთის განმავლობაში არ იყვნენ რაული, ზინედინ ზიდანი და რონალდო, ხოლო რობერტო კარლოსს საერთოდ არ უთამაშია.

„შაბათის დამარცხების მიუხედავად, უწინდელზე გაცილებით უკეთეს ფორმაში ვართ და გაცილებით მეტი დატვირთვითაც ვვარჯიშობთ — უთხრა გაზეთ AS-ს „იუვენტუსის" ყოფილმა ფეხბურთელმა ზიდანმა, რომელსაც წარმოუდგენლად სულაც არ ეჩვენება, მისმა ახალმა გუნდმა ძველს რომ მოუგოს და საბოლოოდ თასიც მოიპოვოს — ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია, რადგან თუ „იუვეს" დავამარცხებთ, მწამს ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ძალიან დიდ წარმატებასაც მივაღწევთ. თუკი ტურინელებს ვაჯობებთ, ესე იგი ყველას დამარცხება შეგვიძლია".

რაც შეეხება მადრიდელთა შემადგენლობას, თუ მარჯვენა მცველს მიჩელ სალგადოს ბარძაყის კუნთი დაუამდება, მაშინ „რეალი" საბრძოლო თერთმეტეულით გავა მოედანზე.

ხოლო „იუვეს" სეზონი, თითქოს „რეალის" სეზონის სარკული გამოსახულებააო — გუნდი შემოდგომაზე დიდებულად თამაშობდა, შემდეგ კი დაუკლო და „მილანთან" მოპოვებული რვაქულიანი უპირატესობა დღეს ნულამდე აქვს დასული.

„ჩვენ უბრალოდ არ გაგვიმართლა — ყველაფრის ბედისთვის გადაბრალებას ცდილობს ფაბიო კაპელო — „მესინასთან", ბოლო შეხვედრაში, სულ მცირე საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ ბურთი კარში ერთხელაც არ შევარდა. ეს იყო ერთ-ერთი იმ მატჩთაგანი, როდესაც ბურთს კარში შევარდნა არ უნდა და მორჩა, თუმცა „რეალთან" თამაშის წინ მაინც იმედიან განწყობაზე ვართ, რადგან გუნდი ფიზიკურად კარგ ფორმაშია".

და მაინც, ფიზიკურად ჩინებულ ფორმაში მყოფ „იუვენტუსს" მაინც აქვს დანაკლისი — დავიდ ტრეზეგე გრიპმა ლოგინად ჩააგდო და მადრიდში წამსვლელთა 20 კაციან ჯგუფს ჩამოაკლო. მისი სავარაუდო შემცვლელია ალესანდრო დელ პიერო, რომელმაც „მესინასთან" ბევრი კი ვერაფერი გააწყო, მაგრამ „რეალთან" გადამწყვეტი როლის თამაშის გამოცდილება აქვს.

უცნობია შეძლებს თუ არა, „სანტიაგო ბერნაბეუს" მინდორზე გასვლას ჩეხი პაველ ნედვედი. გასული წლის ევროპის საუკეთესო ფე[illegible]ურთელს 23 იანვრის შემდეგ არ უთამაშია.

**პაპუნა ძიძია**



ფაბიო კაპელო




ვანდერლეი ლუშემბურგო

## ლივერპული — ლევერკუზენი

### სავარაუდო შემადგენლობები

| ლივერპული | ლევერკუზენი |
|---|---|
| დუდეკი, ფინანი, ჰიიპია, ტრაორე, კარაგერი, რიისე, ბიშკანი, ჰამანი, ნუნიესი, შმიცერი, ბაროში | ბუტი, შნაიდერი, კალსენ-ბრაკერი, ჟუანი, პლასენტე, რამელო, ფრაიერი, პონტე, კრჟინოვეკი, ბერბატოვი, ვორონინი |
| მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი | მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი |

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)



რაფაელ ბენიტესი მაინც იმედიანადაა

## ბედი ენფილდზე

**სტატისტიკის** თანახმად, „ლივერპული" გერმანულ კლუბებთან საშინაო მატჩებს ძალიან წარმატებულად ატარებს. აქამდე გამართულ 13 მატჩში მერსისაიდელებს 10 მოუგიათ, ხოლო დანარჩენი 3 შეხვედრა ფრედ დასრულდა. „ენფილდის" ბინადართ ამჯერადაც გამარჯვების იმედი აქვთ, ხოლო ჯიბრილ სისესა და ფლორენ სინამა-პონიოლის ტრავმების შესახებ ადრეც გაუწყეთ.

დღეს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო მინდორზე ვერ გავა გუნდის კაპიტანი სტივენ ჯერარდი, რომლის არყოფნაც, ბუნებრივია, სერიოზული დანაკლისია. გარდა ამისა, საეჭვოა ჰარი კიუელის თამაშიც. არადა, წესით მეორე თავდამსხმელის ფუნქციის შესრულება სწორედ ამ უკანასკნელმა უნდა ითავოს.

„რა თქმა უნდა, ჯერარდისა და მორიენტესის არყოფნა სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის, რადგანაც ორივე მათგანი გუნდის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა. მართლაც ბევრი ფეხბურთელი გვაკლია და ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ გულშემატკივრების იმედი მაქვს. როგორი ქომაგობა იციან „ენფილდზე", კარგადაც მოგეხსენებათ და, იმედია, საერთო ძალებით მიზანს მივაღწევთ" — თქვა მერსისაიდელთა ესპანელმა დამრიგებელმა რაფაელ ბენიტესმა.

სტივენ ჯერარდი: „ბუნებრივია, ძალიან სამწუხაროა, რომ ამ მატჩის გამოტოვება მიწევს, მაგრამ „ლივერპული" ჩემს გარეშეც დიდი გუნდია, რასაც ალბათ კიდევ ერთხელ დავამტკიცებთ. საპასუხო შეხვედრაში კი სრული შემართებით ვითამაშებ, ამისთვის უკვე ვემზადები. ლიგას რაც შეიძლება დიდ ხანს უნდა შემოვრჩეთ, ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია".

შეგახსენებთ, რომ „ენფილდზე" „ლივერპულმა" ერთხელ უკვე მოუგო „ლევერკუზენს" 4:3. 2002 წელს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, თუმც პირველი მატჩი ინგლისელებს 0:1 ჰქონდათ წაგებული და მეტოქის მოედანზე გატანილი გოლების წყალობით, საბოლოო გამარჯვება „ფარმაცევტებს" დარჩათ.

თავის მხრივ კაპიტანს „ლევერკუზენიც" მოისაკლისებს — იენს ნოვოტნიმ გასულ უქმეებზე მუხლი დაიშავა. ტრავმირებულია მარკო ბაბიჩიც, ხორვატ ნახევარმცველს კოჭი აწუხებს. გერმანელებს სხვა დანაკლისი არ აქვთ. პირიქით, ბრაზილიელმა მცველმა ჟუანმა ფეხი მოიშუშა და მინდორზე გასასვლელად მზად არის.

„ლევერკუზენის" მწვრთნელ კლაუს აუგენტალერს თავისი შეგირდების კონდიციები არ მოსწონს: „ბოლოხანს გუნდს სხვადასხვა კომპონენტებში ვავარჯიშებდი და სპეციალურად ამ მატჩისთვის ვამზადებდი. გენერალური რეპეტიცია გასულ შაბათს, „ნიურნბერგთან" გავიარეთ. სამწუხაროდ, იმ თამაშში ნოვოტნი დაგვიშავდა და მთლიანობაშიც უკმაყოფილო დავრჩი. ძალიან ბევრ შეცდომას ვუშვებდით და თუ ფეხბურთელები ყურადღებით არ იქნებიან, ასე წარმატებას ვერ მივაღწევთ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

## დგუში ფრანგული ლონდონის წინააღმდეგ

### სწორდით, უნდა გამოვსწორდეთ!

**ბაიერნი — არსენალი**

საპარაუდო შემადგენლობები

| ბაიერნი | არსენალი |
|---|---|
| კანი, სანიოლი, ლუსიო, კოვაჩი, ლიზარაზუ, ფრინგსი, ჰარგრივსი, შოლი, სალიჰამიჯიჩი, მაკაი, პიზარო | ლემანი, ლორენი, ტურე, სიგანი, ე. კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ფაბრეგასი, პირესი, ანრი, რეიესი |
| მწვრთნელი: ფელიქს მაგათი | მწვრთნელი: არსენ ვენგერი |

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)



„ბაიერნი“ და როი მაკაი დღეს მიხაელ ბალაკს (მარცხნივ) მოისაკლისებენ

**რეგალიებს** ვუგანოთ და ვაღიაროთ, რომ ეს არის ორი ძალიან სპეციფიური გუნდის თამაში — მიუნხენის „ბაიერნი“ კარგად გაპოხილი დგუშებით და ლონდონის „არსენალი“ ფრანგული შარმით — არსენ ვენგერისა და ტიერი ანრის თავისებური ესთეციზმით.

მოკლედ, ერთმანეთს ძალიან სხვანაირი გუნდები ეჯახებიან და მათ უახლოეს ამბებზეც მოგახსენებთ.

ბავარიელებმა ბუნდესლიგის მეორე ეტაპი რიხით დაიწყეს — შინ ჯერ „ჰამბურგს“ მოუთავეს საქმე (3:0), მერე „ლევერკუზენს“ (2:0), მაგრამ სტუმრად ჩაფლავდნენ — ბერლინში, „ჰერტასთან“ ოდენ უგოლო ფრეს გამორჩნენ, ხოლო „არმინიასთან“ 1:3 წააგეს. გასულ უქმეებზე კი „ბაიერნს“ შინ ჰქონდა თამაში და აკი მუსრიც გაავლო დორტმუნდის „ბორუსიას“ — 5:0.

საშუასეზონო პერიოდში, „ბაიერნმა“ ოდენ ერთი ფეხბურთელი შეიმატა — მარსელის „ოლიმპიკიდან“ 34 წლის ბიქსენტ ლიზარაზუ დაიბრუნა, რადგან დაცვის მარცხენა ფლანგზე პრობლემები ჰქონდა.

მიუნხელთაგან ახალი ისაა მოსალოდნელი, თუ როგორ გამოიჩენს თავს ჩემპიონთა ლიგაში ჯეელი პერუელი ფორვარდი ხოსე პაულო გერერო. თავდამსხმელთაგან ძირითადში ადგილი მხოლოდ როი მაკაის აქვს დაჯავშნული, რომლის მეწყვილეც „არსენალთან“ თუ გერერო არა, ასევე პერუელი კლაუდიო პიზარო უნდა იყოს.

რაც შეეხება ნახევარდაცვას, დეპრესიიდან თანდათან გამოდის სებასტიან დაისლერი, ხოლო 34 წლის მეჰმეთ შოლი თითქმის ისე ათამაშდა, როგორც თავის საუკეთესო წლებში. და საერთოდ, შუა ხაზი ფელიქს მაგათის გუნდში უძლიერესად ითვლება — მიხაელ ბალაკი, ტორსტენ ფრინგსი, ბასტიან შვაინსტაიგერი, ზე რობერტო...

„არსენალს“ კი ფეხი 15 იანვარს დაუცდა — „ბოლტონთან“ 0:1 დამარცხდა, რასაც მალე მორიგი ფლავის ჭამა მიაყოლა — შინ „მანჩესტერთან“ 2:4 წააგო. თუმც პრემიერლიგის ბოლო ტურებში წელში გაიმართა იოლი გამარჯვებებით — „ასტონ ვილასთან“ 3:1 და „კრისტალ პალასთან“ 5:1, ასოციაციის თასზე კი შინ „შეფილდ იუნაიტედს“ ვერ მოუგო 1:1.

მაგრამ აქ ერთიცაა — „არსენალს“ ფეხბურთელებს ართმევენ — შემტევმა ხოსე ანტონიო რეიესმა პირდაპირ განაცხადა, „არსენალის“ დატოვება და მადრიდის „რეალში“ გადასვლა მსურსო. არც ლონდონის „ჩელსი“ მალავს, რომ „არსენალიდან“ მცველ ეშლი კოულის აყვანა სურს.

და ტიერი ანრი, ვინც არსენალური რეკორდს უმიზნებს, რომელიც იან რაიტს ეკუთვნის — მან „არსენალისთვის“ 184 გოლი გაიტანა. რაიტმა უკვე დაანება თამაშს თავი, ხოლო ანრის 173 არსენალური გოლი დაუგროვდა და ვინძლო რეკორდი ამ სეზონში გააუმჯობესოს.

თუმც, დღეს ანრის თამაში საეჭვოა, მას ქუსლი აწუხებს. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მუხლმტკივანი ბრაზილიელი შუახაზელი ედუს თამაშიც, ხოლო კოული ნაგრიპალია და ან გავა მოედანზე, ან არა. ნაღდი მხოლოდ ისაა, რომ არ ითამაშებენ ტრავმირებული სოლ კემპბელი და დენის ბერხკამპი — ჰოლანდიელს თვითმფრინავით მგზავრობის შიში უწინდებურად აქვს.

დანაკლისი ალბათ „ბაიერნსაც“ ექნება — თითქმის გადაწყვეტილია, რომ დაშავებული მიხაელ ბალაკი არ ითამაშებს. ფელიქს მაგათი ალბათ რისკზე არ წავა და ბალაკს მინდორზე გასვლას არ დააძალებს. „ბაიერნის“ თამაშის წარმმართველად ალბათ მეჰმეთ შოლი მოგვევლინება.

„ყველა გუნდს აქვს სუსტი წერტილი და არც „არსენალია“ გამონაკლისი. დაცვაში ეს გუნდი ისეთივე ძლიერი არაა, როგორც შეტევაში“ — განაცხადა ბავარიელთა ინგლისელმა ნახევარმცველმა ოუენ ჰარგრივსმა.

გუნდები მიუნხენში ბოლოს 2001 წელს შეხვდნენ ჩემპიონთა ლიგაში და მაშინ „ბაიერნმა“ 1:0 მოიგო. „ის ჩვენი ყველაზე უარესი მატჩი იყო ევროტურნირზე და ახლა კარგი შანსი გვაქვს, რომ გამოვსწორდეთ“ — ეს უკვე არსენ ვენგერის სიტყვებია.

**დავით თავართქილაძე**

## მონაკო ექვსთვიანია

**პსვ ეინდჰოვენი — მონაკო**

საპარაუდო შემადგენლობები

| პსვ ეინდჰოვენი | მონაკო |
|---|---|
| გომესი, ოიერი, ალექსი, ბუმა, ლი, ვან ბომელი, ფოგელი, კოკუ, პარკი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ფარფანი | რომა, მაიკონი, როდრიგესი, გივე, ევრა, ზიკოსი, ბერნარდი, კალონი, პლასილი (ან ფარნერუდი), სავიოლა, ადებაიორი |
| მწვრთნელი: გუს ჰიდინკი | მწვრთნელი: დიდიე დეშანი |

მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)



გუს ჰიდინკი შეგირდებს ბოლო დარიგებებს აძლევს

**დიდიე დეშანის** „მონაკო“ ეინდჰოვენში მშვენიერი, საბრძოლო განწყობით ჩავიდა. ფრანგები ჰოლანდიას ურუგვაელ ფორვარდ ხავიერ ერნესტო ჩევანტონის გარეშე ეწვივნენ, რომელიც დიდი ხანია, კოჭის ტრავმას მკურნალობს. სავარაუდოდ, ვერც გამოცდილი მცველი სებასტიან სკილაჩი ითამაშებს და იაროსლავ პლასილის მინდორზე გასვლაც სათუოა. დეშანს საბოლოო წარმატების სჯერა, მაგრამ თავისი გუნდის შეუთამაშებლობა ოდნავ აშინებს.

„შარშანდელი წარმატება 2-3 წლის გამოცდილებამ და ერთად მუშაობამ განაპირობა. ახლანდელ „მონაკოს“ შეიძლება ექვსი თვის გუნდიც დავარქვათ. სეზონი პრაქტიკულად ახალი მოთამაშეებით დავიწყეთ, ხოლო კლუბის გარკვეული სახის და სტილის ჩამოყალიბება მხოლოდ ნოემბერში დაიწყო, როდესაც ფეხბურთელები საბოლოოდ გათავისუფლდნენ სანაკრებო შეკრებებიდან. პსვ კი პირიქით, ფაქტობრივად იგივე გუნდია, რაც წინა სეზონში იყო“ — ამბობს დეშანი.

შეგახსენებთ, რომ ეს გუნდები ერთმანეთს გასული სეზონის ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ. მაშინ ფრანგებმა „ფილიპსის“ სტადიონზე 2:1 იმარჯვეს, ხოლო შინ მათთვის მისაღებ ფრეს (1:1) დასჯერდნენ. საყურადღებოა ისიც, რომ „მონაკოს“ სულ ექვსჯერ უთამაშია ჰოლანდიურ კლუბებთან და ერთხელაც არ დამარცხებულა.

რაც შეეხება პსვ-ს, მასპინძლებს ჯონ დე იონგი არ ეყოლებათ. მცირე ტრავმა აქვს გუნდის კაპიტან მარკ ვან ბომელს, რასაც ჰოლანდიელთა მთავარი მწვრთნელი გუუს ჰიდინკი ძალიან შეუწუხებია. კლუბის ექიმები კი ირწმუნებიან, რომ ვან ბომელს მატჩამდე გამოაჯანმრთელებენ. ანალოგიურ სიტუაციაშია იოჰან ფოგელიც, მაგრამ სავარაუდოდ მინდორზე ისიც გავა.

შესაძლოა, ჰოლანდიელთა რიგებში გუნდის ბრაზილიელი ახალწვეულის რობერტის დებიუტი შედგეს. შეგახსენებთ, რომ სამხრეთამერიკელი ფორვარდი პსვ-ს იანვარში შეუერთდა.

„მონაკოს“ ბერძენი ნახევარმცველი ანდრეას ზიკოსი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც პსვ-ს შარშან ეთამაშა. მისი თქმით, ჰოლანდიელებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ და „მონაკოს“ გაუჭირდება.

„ჩვენ ყველა „რეალთან“ ან „დეპორტივოსთან“ მატჩებს გვახსენებს. არადა, პსვ-ს ნაკლები წინააღმდეგობა არ გაუწევია და მათთან თამაშში უფრო დავიხარჯეთ. თანაც ჰოლანდიელებმა შემადგენლობა შეინარჩუნეს. ისინი კვლავ ძლიერები არიან ფიზიკურადაც და ტაქტიკურადაც. ვფიქრობ, ჩვენი პლუსი სისწრაფეშია“ — თქვა ზიკოსმა.

ბოლოს კი ისევ დიდიე დეშანს მოვუსმინოთ: „ჩემი გუნდის მჯერა და ვფიქრობ, შემდეგ ეტაპზე უნდა გავიდეთ. თუმც ძალიან მძიმე ბრძოლა გველის. ზოგადად ფავორიტებად ვითვლებით, რაც დამატებითი ფსიქოლოგიური წნეხია. მთლიანობაში, ეს ჩემპიონთა ლიგა უფრო საინტერესო და დაძაბული იქნება. გათამაშებას თითქმის ყველა მდიდარი და სახელოვანი გუნდი შემორჩა“.

**გიორგი ქაქაბაძე**

## საპასუხო მატჩები გაიმართება 9 მარტს

სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხომერიკი

# იმ ტკბილ მოგონებებს გაუმარჯოს...
## კანიჯა დიდი ფეხბურთიდან წავიდა



**37 წლის** არგენტინელმა კლაუდიო კანიჯამ „რადიო დელ პლატას" განუცხადა, რომ ასრულებს კარიერას და შესაბამისად, საკუთარი ცხოვრების წეს-ჩვეულებებს ცვლის.

„გადაწყვეტილება უკვე მიღებული მაქვს. დიდი ფეხბურთიდან წასვლის სურვილი პირველად ოჯახს გავანდე და ეს აზრი ყველას მოეწონა. ჯერჯერობით არ ვიცი საცხოვრებლად რომელ ქვეყანას ავირჩევ. თუმცა ვფიქრობ რომ დროის უმეტეს ნაწილს ისევ არგენტინაში გავატარებთ" — ამბობს 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი.

კანიჯამ კარიერა 1985 წელს, „რივერ პლეიტში" დაიწყო, ხოლო შემდეგ მარადონასთან ერთად „ბოკა ხუნიორსშიც" უთამაშია. საზღვარგარეთ კი იტალიური კლუბების — „ვერონას", „ატალანტას", „რომას", აგრეთვე პორტუგალიური „ბენფიკას", შოტლანდიური „რეინჯერსისა" და ყატარული „ალ არაბის" მაისურა მოურგია.

ახლა ვეტერანი პატაგონიელი განვლილ წლებს სიამოვნებით იხსენებს: „ჩემი კარიერიდან ბევრი კარგი და ტკბილი მოგონებები დამრჩა. განსაკუთრებით ბედნიერი კი იმით ვარ, რომ მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელთან, დიდ დიეგო მარადონასთან ერთად მითამაშია. ჯანზე ვარ და ვფიქრობ, ბურთაობა დღესაც ჩინებულად შემიძლია, ინტენსიურადაც ვვარჯიშობ, მაგრამ ასაკს თავისი მაინც მიაქვს".

კლაუდიო კანიჯა 1990 წლის იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატის გარდა 1994-ში, ამერიკაშიც იყო და მშობლიური ნაკრების მაისურა 2002 წლის კორეა-იაპონიის პირველობაზეც მოირგო. სანაკრებო პერიოდიდან ყველაზე საუკეთესოდ კანიჯა 1991 წლის არგენტინის ეროვნულ გუნდს ასახელებს — მაშინ პატაგონიელებმა ალფიო ბაზილეს თავკაცობით ჩილეში, კოპა ამერიკა მოიგეს. საუკეთესო მწვრთნელად კი სკანდალური კარლოს ბილარდო მიაჩნია.



# არ გავსუქდები
## ტევესი მარადონამ შეაწუხა

**ბრაზილიური** „კორინთიანსის" ახალგაზრდა ვარსკვლავმა კარლოს ტევესმა თანამემამულე ჟურნალისტებთან საუბრისას მოულოდნელად განაცხადა, რომ როგორც კი 26 წლისა შესრულდება, მშობლიურ კლუბს, „ბოკა ხუნიორსს" დაუბრუნდება, ხოლო 28 წლის ასაკში ეგებ საერთოდაც მიატოვოს დიდი ფეხბურთი.

„რა თქმა უნდა, გადაჭრით ამ ინფორმაციას ვერ დაგიდასტურებთ, თუმცა ოჯახთან და უახლოეს ნაცნობ-მეგობრებთან კარიერის ადრე დასრულეაზე ხშირად ვლაპარაკობ და, მგონია, არც დიდი კატასტროფა იქნება, ბუცებს და ტრუს-მაისურას შედარებით ადრე თუ დავემშვიდობები" — უთხრა ტევესმა არგენტინული „ოლეს" კორესპონდენტს.

არადა, კარლიტო ჯერ მხოლოდ ოცდაერთი წლისაა. პროფესიულ ფეხბურთთან ნაადრევად გამომშვიდობებაზე კი იმიტომ ალაპარაკდა, რომ ძმაკაცებთან გართობა სწადია, თან კი... სიმსუქნის შიში ჰქონია: „მინდა, ჩემს უბნელებს დავუბრუნდე და ბავშვობის მეგობრებთან თავისუფალი ფეხბურთი ვითამაშო. არ მსურს, ზოგიერთივით ქონი მომეკიდოს და თითით საჩვენებელი გავხდე" — ამბობს დასძენს ტევესი.

რაც შეეხება „ქონის მოკიდებას", ვინძლო კარლიტო სახელოვან დიეგო მარადონასაც გულისხმობდეს. „ელ რეი" ხომ ბოლო დროს მეტისმეტად ჭარბწონიანობამ შეაწუხა...

# რონალდო დაბომბეს



**რიო დე ჟანეიროში,** იქაურმა ქურდებმა რონალდოს მამის სახლი გაძარცვეს.

როგორც ბრაზილიური გაზეთები წერენ, ბოროტმოქმედებმა სეუ ნელიო ნასარიო და ლიმას ბინა მაშინ გააცარიელეს, როცა ბედნიერი მამა „რეალის" გალაქტიკოსი კიჭას ხელმეორედ გაბედნიერებას პარიზში ზეიმობდა — ქურდებმა ძვირფასეულობა და „რეალის" ვარსკვლავის მაისურების კოლექცია წაიღეს. მამა რონალდოც სწორედ ამ უკანსკნელს მისტრის: „კარი ღიად დამხვდა, ხოლო ოთახები საშინლად არეულ-დარეული იყო. ყველაზე მეტად კი გული ჩემი ბიჭის მაისურების გამო მტკივა, რონი მისი მონაწილეობით ჩატარებული მატჩების შემდეგ ფეხბურთელებს მაისურებს უცვლიდა-ხოლმე, გარწმუნებთ ეს კოლექცია ფასდაუდებელია და ნებისმიერ ძვირფას სამკაულზე მეტი ღირს..."

გარდა ასზე მეტი მაისურისა, ბანდამ ვიდეომაგნიტოფონები, ბრილიანტები, კომპიუტერი და რონალდოს ჯილდოებიც გაიტაცა. „ძალიან დათრგუნული ვარ. ნეტავ, ყველაფერი დაკარგულიყო, ოღონდ რონის ნივთებს არავინ შეხებოდა" — დასძენს ბოლოს სეუ ნასარიო.

მომხდარის გამო პოლიციამ საქმე უკვე აღძრა და გამოძიებაც ცხადია, დაწყებულია.



არგენტინულ სტადიონებზე შეხლა-შემოხლა ხშირია

# ნაჯახით დაჩეხილი დიეგო
## არაკაცებმა ძმაკაცი სასიკვდილოდ გაიმეტეს

**არგენტინაში,** კლუბების თავგადაკლულ ინჩასებს შორის სისხლიანი შეტაკებები, მოგეხსენებათ, ძალიან ხშირად ხდება, მაგრამ რაც აველინედას „რასინგის" 25 წლის ქომაგს, დიეგო კინტანას შეემთხვა, უკვე ყველანაირ ზღვარს სცილდება.

მოკლედ, კინტანა გასულ პარასკევს, საკუთარმა ძმაკაცებმა (და დაგვეთანხმებით ალბათ, რომ არაკაცებმა) სასიკვდილოდ გაიმეტეს — რომ არა ექიმთა დროული ჩარევა, დანით დაჭრილი ახალგაზრდის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

ახლა კი მომხდარის არსიც გავიგოთ. „რასინგს" ორი, ერთმანეთთან დაპირისპირებული ფანჯგუფი ქომაგობს — „ბარა დელ მორიო" და „გუარდია იმპერიალი". უიღბლო დიეგო „ბარას" დაჯგუფების წევრია და მოწინააღმდეგეთა „ყურადღების ცენტრშიც" სწორედ ამიტომ მოექცა.

ეს ყველაფერი კი „ესტადიო აველანედაზე", ადგილობრივ „რასინგს" და „ოლიმპოს" შორის მატჩის მეთხუთმეტე წუთზე მოხდა. „კინტანა „იმპერიალის" ბიჭებმა ნაჯახით დაჩეხეს, ისინი მერეც სცემდნენ" — ამბობს მავანი მოწმე, რომელიც გასაგები მიზეზების გამო თავის ვინაობას არ ასახელებს.

გითხარით, დიეგო ფიორიტოს ჰოსპიტლის ექიმთა წყალობით გადარჩა, „ესტადიო აველანედას" ხელმძღვანელობას კი ხულიგან ფანთა პარპაში აწუხებს: „შეხლა-შემოხლა სტადიონზე ყოველთვის ხდება და სამწუხაროდ, ვაი-გულშემატკივრებსაც სათანადოდ ვერ ვერ ვაკონტროლებთ, რასაც გპირდებით, ძალიან მალე გამოვასწორებთ".

# სარჩიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ
### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 11 | კარდიფი-მილუოლი | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 22:45 | 12 | ქრიუ-რედინგი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 22:45 | 13 | ჯილინგემი-ვესტ ჰემი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 22:45 | 14 | იფსვიჩი-უოტფორდი | 1.5 | 3.5 | 6.5 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 22:45 | 15 | პლიმუთი-შეფილდი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 22:45 | 16 | ქპრ-ვულვერჰემპტონი | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 22:45 | 17 | სტოკი-ლესტერი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 23:00 | 18 | სანდერლენდი-როტერჰემი | 1.35 | 4.2 | 7.4 | 1.02 | 1.14 | 2.67 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 19 | ქოვენთრი-უიგანი | 3.3 | 3.3 | 2.0 | 1.64 | 1.24 | 1.24 |
| 22:45 | 20 | დერბი-ბარნლი | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 22:45 | 21 | ნოტინგემი-პრესტონი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 34 | ბლეკპული-ბრედფორდი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 22:45 | 35 | ბორნმუთი-ტორკი | 1.65 | 3.4 | 4.8 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 22:45 | 36 | ბრისტოლი-ოლდემი | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 22:45 | 37 | დონკასტერი-ბარნსლი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 22:45 | 38 | ჰარტლპული-ბრენტფორდი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 22:45 | 39 | ლუტონი-უოლსოლი | 1.45 | 3.6 | 6.6 | 1.03 | 1.18 | 2.32 |
| 22:45 | 40 | სტოკპორტი-ჩესტერფილდი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 22:45 | 41 | ტრანმერი-ჰადერსფილდი | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 22:45 | 42 | რექსემი-კოლჩესტერი | 2.2 | 3.3 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 22:45 | 43 | დონსი-ჰალი | 3.0 | 3.3 | 2.1 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 44 | უენსდი-პიტერბრო | 1.45 | 3.6 | 6.6 | 1.03 | 1.18 | 2.32 |
| 22:45 | 45 | სუინდონი-პორტ ვეილი | 1.65 | 3.4 | 4.7 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 57 | ლეიტონი-ლინკოლნი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 22:45 | 58 | კემბრიჯი-ჩელტენემი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 22:45 | 59 | დარლინგტონი-სუონსი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 22:45 | 60 | გრიმსბი-ჩესტერი | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 22:45 | 61 | კიდერმინსტერი-როვერსი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 22:45 | 62 | მენსფილდი-უიკომბი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 22:45 | 63 | როჩდეილი-ნორთჰემპტონი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 22:45 | 64 | რაშდენი-ბერი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 22:45 | 65 | საუთენდი-შრიუსბერი | 1.55 | 3.5 | 5.35 | 1.07 | 1.2 | 2.11 |
| 22:45 | 66 | იოვილი-სკანთორპი | 1.75 | 3.4 | 4.1 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 67 | ბოსტონი-ნოტსი | 1.75 | 3.4 | 4.1 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| 22:45 | 68 | ოქსფორდი-მაკლსფილდი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 82 | ექსეტერი-იორკი | 1.55 | 3.5 | 5.35 | 1.07 | 1.2 | 2.11 |
| 22:45 | 83 | ალდერშოტი-ჰალიფაქსი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 234 | გრენობლი-რეიმსი | 1.9 | 2.8 | 4.2 | 1.13 | 1.3 | 1.67 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 349 | რეალი-იუვენტუსი | 2.0 | 3.3 | 3.5 | 1.24 | 1.27 | 1.69 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10

42 00 24

+%


**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 350 | ლივერპული-ლევერკუზენი | 2.0 | 3.3 | 3.5 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 22:45 | 351 | პსვ-მონაკო | 2.1 | 3.2 | 3.3 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 22:45 | 352 | ბაიერნი-არსენალი | 2.25 | 3.2 | 3.0 | 1.32 | 1.28 | 1.54 |

**23 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 353 | პორტუ-ინტერი | 2.85 | 3.2 | 2.35 | 1.5 | 1.28 | 1.35 |
| 22:45 | 354 | ბარსელონა-ჩელსი | 2.15 | 3.1 | 3.3 | 1.26 | 1.3 | 1.59 |
| 22:45 | 355 | მანჩესტერი-მილანი | 2.15 | 3.1 | 3.3 | 1.26 | 1.3 | 1.59 |
| 22:45 | 356 | ვერდერი-ლიონი | 2.15 | 3.2 | 3.2 | 1.28 | 1.28 | 1.6 |

**უეფას თასი**

**24 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 357 | დნიპრო-პარტიზანი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 20:00 | 358 | შალკე-შახტარი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 20:30 | 359 | ალკმაარი-ალემანია | 1.35 | 4.0 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.66 |
| 21:00 | 360 | სტიაუა-ვალენსია | 2.95 | 3.3 | 2.15 | 1.55 | 1.24 | 1.3 |
| 21:00 | 361 | სოშო-ოლიმპიაკოსი | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 22:30 | 362 | შტუტგარტი-პარმა | 1.45 | 3.7 | 7.0 | 1.04 | 1.2 | 2.42 |
| 22:45 | 363 | ფეიენოორდი-სპორტინგი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 22:45 | 364 | ნიუკასლი-ჰერენვენი | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 22:45 | 365 | ოსერი-აიაქსი | 2.1 | 3.1 | 3.3 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 21:45 | 366 | აუსტრია-ბილბაო | 2.7 | 3.2 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 22:45 | 367 | სარაგოსა-ფენერბაჰჩე | 2.0 | 3.2 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| 23:30 | 368 | ბენფიკა-ცსკა | 1.75 | 3.4 | 4.2 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 23:00 | 369 | ლილი-ბაზელი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 370 | მიდლსბრო-გრაცერი | 1.35 | 4.1 | 7.5 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| 23:30 | 371 | სევილია-პანათინაიკოსი | 1.55 | 3.5 | 5.5 | 1.07 | 1.2 | 2.13 |
| 23:30 | 372 | ვილიარეალი-დინამო(კ) | 1.7 | 3.2 | 4.8 | 1.11 | 1.25 | 1.91 |

**ჰოკეი. შვედეთი**

**22 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 453 | მორა-ლინჩიოპინგი | 2.35 | 4.2 | 1.95 | 1.5 | 1.06 | 1.33 |
| 21:00 | 454 | მალმიო-მოდო | 2.9 | 4.2 | 1.75 | 1.71 | 1.09 | 1.23 |
| 21:00 | 455 | ტიმრე-სიოდერტელიე | 1.6 | 4.4 | 3.0 | 1.17 | 1.04 | 1.78 |

**ჰოკეი. ფინეთი**

**22 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 468 | ჰაამეენლინა-პელიკანსი | 1.2 | 5.0 | 7.0 | 1.0 | 1.02 | 2.91 |
| 19:30 | 469 | იოკერიტი-ესეტი | 1.45 | 4.5 | 3.7 | 1.09 | 1.04 | 2.03 |
| 19:30 | 470 | კერპეტი-იუვესკიულე | 1.4 | 4.5 | 4.0 | 1.06 | 1.03 | 2.11 |
| 19:30 | 471 | სეიპა-ტაპარა | 2.4 | 4.2 | 1.95 | 1.52 | 1.07 | 1.33 |
| 19:30 | 472 | ტურკუ-ჰელსინკი | 2.0 | 4.2 | 2.3 | 1.35 | 1.06 | 1.48 |

**ჰოკეი. სლოვაკეთი**

**22 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 499 | კოშიცე-დუბნიცა | 1.1 | 6.0 | 8.0 | 1.0 | 1.0 | 3.42 |
| 19:00 | 500 | პოპრადი-ზვოლენი | 2.65 | 4.2 | 1.8 | 1.62 | 1.07 | 1.25 |
| 19:00 | 501 | სკალიცა-მიკულაში | 2.65 | 4.2 | 1.8 | 1.62 | 1.07 | 1.25 |
| 19:00 | 502 | ტრენჩინი-სლოვანი | 1.85 | 4.0 | 2.6 | 1.26 | 1.08 | 1.57 |
| 19:00 | 503 | ჟილინა-ნიტრა | 1.8 | 4.2 | 2.6 | 1.25 | 1.06 | 1.6 |

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13349 | რეალი-იუვენტუსი | 1.7 | 1.9 |
| 13350 | ლივერპული-ლევერკუზენი | 1.7 | 1.9 |
| 13351 | პსვ-მონაკო | 1.7 | 1.9 |
| 13352 | ბაიერნი-არსენალი | 1.7 | 1.9 |
| 13353 | პორტუ-ინტერი | 1.7 | 1.9 |
| 13354 | ბარსელონა-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 13355 | მანჩესტერი-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 13356 | ვერდერი-ლიონი | 1.7 | 1.9 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14349 | რეალი-იუვენტუსი | 1.75 | 2.1 |
| 14350 | ლივერპული-ლევერკუზენი | 1.75 | 2.1 |
| 14351 | პსვ-მონაკო | 1.8 | 2.0 |
| 14352 | ბაიერნი-არსენალი | 1.8 | 2.0 |
| 14353 | პორტუ-ინტერი | 1.95 | 1.85 |
| 14354 | ბარსელონა-ჩელსი | 1.8 | 2.0 |
| 14355 | მანჩესტერი-მილანი | 1.8 | 2.0 |
| 14356 | ვერდერი-ლიონი | 1.8 | 2.0 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15349 რეალი-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15350 ლივერპული-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15351 პსვ-მონაკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15352 ბაიერნი-არსენალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15353 პორტუ-ინტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15354 ბარსელონა-ჩელსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15355 მანჩესტერი-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15356 ვერდერი-ლიონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12349 | რეალი-იუვენტუსი | 1.7 | 1.9 |
| 12350 | ლივერპული-ლევერკუზენი | 1.7 | 1.9 |
| 12351 | პსვ-მონაკო | 1.6 | 2.1 |
| 12352 | ბაიერნი-არსენალი | 1.6 | 2.1 |
| 12353 | პორტუ-ინტერი | 1.6 | 2.1 |
| 12354 | ბარსელონა-ჩელსი | 1.6 | 2.1 |
| 12355 | მანჩესტერი-მილანი | 1.6 | 2.1 |
| 12356 | ვერდერი-ლიონი | 1.7 | 1.9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11349რეალი-იუვენტუსი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11350ლივერპული-ლევერკუზენი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11351პსვ-მონაკო | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11352ბაიერნი-არსენალი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11353პორტუ-ინტერი | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.5 |
| 11354ბარსელონა-ჩელსი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11355მანჩესტერი-მილანი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11356ვერდერი-ლიონი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 10349რეალი-იუვენტუსი | 2.45 | 2.0 | 3.8 | 1.1 | 1.48 | 1.31 |
| 22:45 | 10350ლივერპული-ლევერკუზენი | 2.5 | 2.0 | 3.8 | 1.11 | 1.5 | 1.31 |
| 22:45 | 10351პსვ-მონაკო | 2.6 | 2.0 | 3.6 | 1.13 | 1.5 | 1.28 |
| 22:45 | 10352ბაიერნი-არსენალი | 2.7 | 2.0 | 3.5 | 1.14 | 1.52 | 1.27 |
| 22:45 | 10353პორტუ-ინტერი | 3.3 | 2.0 | 2.8 | 1.24 | 1.51 | 1.16 |
| 22:45 | 10354ბარსელონა-ჩელსი | 2.5 | 2.0 | 3.6 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 22:45 | 10355მანჩესტერი-მილანი | 2.6 | 2.0 | 3.6 | 1.13 | 1.5 | 1.28 |
| 22:45 | 10356ვერდერი-ლიონი | 2.6 | 2.0 | 3.7 | 1.13 | 1.52 | 1.29 |

| რომელი გუნდი გავა შემდეგ ეტაპზე | | | |
|---|---|---|---|
| 18349 | რეალი-იუვენტუსი | 1.9 | 1.8 |
| 18350 | ლივერპული-ლევერკუზენი | 1.75 | 2.0 |
| 18351 | პსჟ-მონაკო | 2.1 | 1.7 |
| 18352 | ბაიერნი-არსენალი | 2.2 | 1.6 |
| 18353 | პორტუ-ინტერი | 3.5 | 1.25 |
| 18354 | ბარსელონა-ჩელსი | 1.9 | 1.8 |
| 18355 | მანჩესტერი-მილანი | 2.1 | 1.7 |
| 18356 | ვერდერი-ლიონი | 2.1 | 1.7 |

| ფრეს ბარიერი(ძირ. დრო) | | | |
|---|---|---|---|
| 16349 | რეალი-იუვენტუსი | 1.3 | 2.8 |
| 16350 | ლივერპული-ლევერკუზენი | 1.3 | 2.8 |
| 16351 | პსჟ-მონაკო | 1.35 | 2.4 |
| 16352 | ბაიერნი-არსენალი | 1.6 | 1.95 |
| 16353 | პორტუ-ინტერი | 1.85 | 1.65 |
| 16354 | ბარსელონა-ჩელსი | 1.4 | 2.4 |
| 16355 | მანჩესტერი-მილანი | 1.4 | 2.4 |
| 16356 | ვერდერი-ლიონი | 1.4 | 2.4 |

| ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში/ თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად) | | | |
|---|---|---|---|
| | | ლუწი | კენტი |
| 17349 | რეალი-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17350 | ლივერპული-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17351 | პსჟ-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17352 | ბაიერნი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17353 | პორტუ-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17354 | ბარსელონა-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17355 | მანჩესტერი-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17356 | ვერდერი-ლიონი | 1.85 | 1.95 |

CROCO BOOKMAKERS

კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**

# ALL STAR 2005 დენვერი. 19-20 თებერვალი





ხალხმა კალაბურთს უყურა და „დესთინის ჩაილდს“ უსმინა

# ჯამბაზი მობილურით

**აღმოსავლეთი**
**125:115**
**დასავლეთი**

27:33 34:26 34:30 30:26

აღმოსავლეთი: აივერსონი (15 ქულა, 9 პასი, 5 ჩაჭრა), ჯეიმსი (13), ჰილი (6), კარტერი (11), შ. ონილი (12); ჯ. ონილი (15), ვეიდი (14), ილგაუსკასი (12), პირსი (9), არენასი (7), უოლესი (6), ჯემისონი (5)

დასავლეთი: ბრაიანტი (16), მაკგრეიდი (8), გარნეტი (10), დანკანი (15), მინგი (11); ალენი (17), მარიონი (10), ნოვიცკი (10), ჯინობილი (8), სტუდემაიერი (6), ნეში (2), ლუისი (2)



შაკილ ონილის ტელეფონით ცნობილმა რეპერმა პაფ დედიმაც ისარგებლა

**რა არის** ოლ სტარი? შოუ, გართობა, ხარხარი და მეტი არაფერი. დენვერში შეკრებილი ნბა-ს ნაღებიც იმისთვის გაისარჯა, რომ დარბაზში შეკრებილ ათიათასობით და ტელევიზორებთან მყუდრო მილიონობით ადამიანს სიამოვნება მიეღო. ვინც ვარსკვლავთა მატჩს უყურა, ბურთაობითაც კმაყოფილი დარჩებოდა და იმ ტაკიმასხარობითაც, პლანეტის უძლიერესმა კალათბურთელებმა რომ მოაწყვეს „პეპსი სენთერში“.

ოლ სტარი რომ გართობაა, მისმა მონაწილე კლდეკაცმა ბენ უოლესმაც თქვა ნამატჩევს:

„მხოლოდ უნდა მოეშვა, სავარძელში გადაწვე და უყურო კალათბურთის ჯადოქრების წარმოდგენას. ამ დღეს ყველა მოთამაშე თავისუფალია და რაც მოეპრიანება, იმას აკეთებს.“

ჰოდა, ოლსტარ-საღამოს მთავარ გამრთობს, ბეჰემოტად და დიდ ბავშვად წოდებულ შაკილ ონილს ანტენიანი წუღებით მოეპრიანა „პეპსი სენთერში“ მისვლა და ამით ხალხიც მაგრად ახალისა. მთაკაცს ბარე ნახევარმეტრიანი ტელეფონ-წუღი მოემარჯვებინა, რომლითაც ერთი-ორ დოსტს გადაურეკა კიდეც. „ბავშვობისას, როცა ხშირად ვუყურებდი ტელევიზორს, ნბა-ს ვარსკვლავების შემხედვარე ჩემს თავს ვეკითხებოდი: რა ვქნა, ხალხს ისე რომ შევაყვარო თავი, როგორც მეჯიქი, ჯორდანი და ლარი ბერდი? მე ვთქვი, რომ დაახლოებით ამ ლეგენდებივით უნდა ვითამაშო და უნდა ვიყო ყველასგან განსხვავებული მეთქი: მოედანზე უნდა ვიცინო, ვიხუმრო, ვილაღავო — ერთი სიტყვით, უნდა ვიყო ორიგინალური. მე ყოველთვის მიყვარდა ჯამბაზის როლში ყოფნა, ასე უფრო ბუნებრივია ყველაფერი.“

ონილმა ხომ იჯამბაზა და დიდებულადაც ითამაშა. თუმც ის მაინც ვერ გახდა ოლ სტარის უძვირფასესი მოთამაშე, 2001 წლის ვარსკვლავთცვენის მსგავსად ეს ჯილდო მას ჭინკამ და მოუხელთებელმა, მიმდინარე სეზონის არქიმექულე, ალენ აივერსონმა აართვა, მაგრამ ეს „იმედგაცრუება“ ონილს აინუნშიც არ ჩაუგდია.

„ის მაგარი ბიჭია, მან ყველა გააცურა — თქვა აივერსონზე მთაკაცმა — ის ჩემი მომცრო ვერსიაა.“

ამ ორმა სუპერვარსკვლავმა — შაკმა და აივერსონმა — პირველად ითამაშა მხარდამხარ და საოლსტარო მატჩებში ნაღდაგ დომინანტი „დასავლეთიც“ იოლად გაითელა. თავად აივერსონმაც იგივე აღნიშნა:

„შაკის აღმოსავლეთში გადმობარგებამ უძლიერესის სასწორის პინამ ჩვენსკენ გადმოწონა. ის მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ცენტრია და შესაბამისად, ყველაზე სასურველი პარტნიორიც. მე კმაყოფილი ვარ, რომ შაკთან ერთად მომიწია თამაშმა.“

ვინ ვის და, დასავლეთის სუპერვარსკვლავ კობი ბრაიანტს კი ნაღდად არ გაუხარდა შაკთან ერთად მოედანზე ყოფნა. ამათი შუღლის გამო იყო, ონილი გასულ ზაფხულს „ლეიკერსიდან“ რომ წამოვიდა და, როგორც ჩანს, ეს დაპირისპირება საკმაოდ მძაფრია, რაკი ძველმა თანაგუნდელებმა ხელის ჩამორთმევაც არ ისურვეს მეტოქეთა ტრადიციული მისალმებისას.

შიდა ინტრიგების გარეშე კი ოლ სტარი ნაღდად კარგი საცქერი გამოდგა. იყო ლამაზი პასები, ჯადოდრიბლინგები და, რა თქმა უნდა, აღმაფრთოვანებელი ჩატენვები. ეგაა, მოთამაშეთა შედეგიანობა იყო დაბალი — თვით უძვირფასეს აივერსონს 15 ქულა მოუგროვდა. 1981 წლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ ვერც ერთმა მოთამაშემ ოცქულიან თამასას ვერ უწია.

ეს ლამაზი მატჩი ლამაზი კადრით დასრულდა: ზონზროხა შაკილ ონილმა, რომელსაც რიგითი თამაშისას სამქულიანის სროლა აზრადაც არ მოუვიდოდა, სირენის თანხლებით მოისურვა შორიდან ჩაგდება და, ცხადია... ააცილა.

**ირაკლი პერტაია**






აივერსონმა მთავარი ჯილდო ნბა-ს კომისარ დევიდ შტერნისგან ჩაიბარა

# მატიჩის მარტი

## ვესელინის პოლონურ-ქართული წინადადება



ვესელინ მატიჩი

**ორიოდ კვირაც და საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება. კალათბურთის ფედერაციამ ეროვნული გუნდის თავკაცი მარტის დასაწყისში უნდა წარმოადგინოს, თუმცა მანამდე საიდუმლოდ ინახავს იმ კანდიდატთა ვინაობას, რომლებთანაც მოლაპარაკებებს აწარმოებს**

**11 თებერვალს** პოლონეთის კალათბურთის ფედერაციამ ის 5 სპეციალისტი დაასახელა, რომელთაგან ერთ-ერთს 1 მარტს ეროვნულ ნაკრებს ჩააბარებს. რა საერთო აქვს ამ ორ ამბავს? ის, რომ ამ ნაკრებებს მწვრთნელობის საერთო კანდიდატი ჰყავთ.

სერბი ვესელინ მატიჩი პოლონეთის ფედერაციამ ეროვნული გუნდის თავკაცად შეიგულა, თუმცა ამავდროულად კიდევ ოთხ სპეციალისტთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ესენი არიან: ებრაელი მული კაცურინი, ხორვატი დანიელ იუსუფი, სლოვენიელი ანდრეი ურლეპი და ლიტველი შარუნას შაკალაუსკასი. სხვების რა გითხრათ და მატიჩმა პოლონელ ჟურნალისტებთან ინტერვიუში განაცხადა, რომ პოლონეთის ნაკრებთან ერთად მას საქართველოს ეროვნულ გუნდშიც ეპატიჟებიან. ინტერვიუ გამოქვეყნებულია ერთ-ერთ პოლონურ ვებ-გვერდზე და სულ ესაა, რასაც მატიჩი საქართველოს ნაკრებზე ამბობს.

ვესელინ მატიჩი საკმაოდ ტიტულიანი მწვრთნელია და ძირითად წარმატებებს განთქმული სერბი სპეციალისტის სვეტისლავ პეშიჩის ასისტენტობისას მიაღწია. 2002 წელს იგი იყო პეშიჩის თანაშემწე სერბეთ-ჩერნოგორიის ნაკრებში, როცა ბალკანელები ინდიანაპოლისში მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, ხოლო უშუალოდ მატიჩის ხელმძღვანელობით სერბების კადეტთა და იუნიორთა ნაკრებები ევროპის ჩემპიონები გახდნენ.

მატიჩმა სამჯერ მოიპოვა იუგოსლავიის ჩემპიონობა, როცა ბელგრადის „პარტიზანს" წვრთნიდა. მას წილი უდევს განთქმული სერბი ვარსკვლავების — ვლადე დივაცის, პრედრაგ სტოიაკოვიჩის, მარკო იარიჩის და შარშანწინდელი დრაფტის მე-2 ნომრის დარკო მილიჩიჩის აღზრდაში.

სერბეთის შემდეგ მისი საკლუბო კარიერა გერმანულ ბუნდესლიგაში გაგრძელდა. თავიდან მატიჩი „ფრაიბურგს" თავკაცობდა, მერე კი გერმანიის ერთ-ერთ წამყვან გუნდში, კიოლნის „ენერგიში" მუშაობდა სვეტისლავ პეშიჩის ასისტენტად. გერმანიიდან მატიჩი პოლონეთში გადაბარგდა და ვარშავულ „პოლონიას" ჩაუდგა სათავეში. ამ ქვეყნის ფედერაციაც ამ დროს დაინტერესდა მისი კანდიდატურით.

მატიჩი ჯერ არც პოლონეთის ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში და არც საქართველოსას, მაგრამ ფაქტია, რომ ორივე ამ ქვეყნის ფედერაცია მასთან მოლაპარაკებას აწარმოებს.

**ლუკა თალაკვაძე**



# ბორჯღალოსნები საუკრაინოდ შეიკრიბნენ

**გუშინ** დილით საქართველოს მორაგბეთა ნაკრები საშაბათო მატჩისთვის სამზადისს შეუდგა. 26 თებერვალს ბორჯღალოსნები ერთა თასის მესამე ტურში უკრაინელებს დაუპირისპირდებიან. თასის დებიუტანტი ჩვენი უკრაინელი მეგობრების ამოცანა ჯგუფში ადგილის შენარჩუნებაა, თორემ ლიდერებს რომ სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ, თავადაც კარგად იციან. აქედანვე შეიძლება ითქვას, შაბათს ჩავლეიშვილ-ჭეიშვილის გუნდი დარჩება გამარჯვებული და ალბათ ცხრილშიც ზემოთ აიწევს, თუმცა მწვრთნელების მთავარი საფიქრალი ბიჭების ერთმანეთთან შეთამაშება უნდა იყოს.

უკრაინის დამხვედრი ოცდაორკაციანი შემადგენლობა გასულ კვირაში გაირკვა, მაგრამ ზედ შეკრების დაწყების წინ ორი ცვლილება მაინც მოხდა. პორტუგალიასთან ნათამაშებ მორკინალ ირაკლი გიორგაძისა და ყკანახაზელ მალხაზ ურჯუკაშვილის ნაცვლად დუეტმა სიაში ლოკომოტიველი ლუკა ხაჩირაშვილი და ლელოელი ლაშა ფირფილაშვილი შეიყვანა.

პირველი წინასამატჩო ვარჯიში ნაკრებმა გუშინ დილით არასრული შემადგენლობით ჩაატარა და მოედანზე მხოლოდ საქართველოსა და რუსეთში მოთამაშე მორაგბეები გავიდნენ, ევროპელი ლეგიონერები კი თბილისში საღამოს ჩამოფრინდნენ.

საქართველოს რაგბის კავშირის პრესსამსახურის ცნობით, ბორჯღალოსნები თამაშამდე სასტუმრო „ბატესტაში" იცხოვრებენ და უკვე დღეიდან დღეში ორჯერ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მდებარე ხელოვნურსაფარიან მოედანზე ივარჯიშებენ.

რაც შეეხება უკრაინელებს, ისინი 25 თებერვალს ჩამოვლენ და 28-მდე აქვე დარჩებიან. მატჩი ეროვნულ სტადიონზე სამ საათზე დაიწყება, თუმცა მანამდე გულშემატკივარს ლამაზ სანახაობასაც ჰპირდებიან, გვითხრეს კავშირში.



ირაკლი აბუსერიძე




თედო ზიბზიბაძე

**პარიზიდან** ჩამოფრენილ ბორჯღალოსნებს აეროპორტში ნათესავ-მეგობრებთან ერთად რაგბის კავშირელები, ჟურნალისტები და რამდენიმე გულშემატკივარიც დახვდათ. ლეგიონერებმა მათ გარემოცვაში ათიოდ წუთი დაჰყვეს, მერე კი ზოგმა სპეციალურად მათთვის მიყვანილ ავტობუსს, ზოგმაც ახლობლების მანქანებს მიაშურეს და, როგორც გვითხრეს, შეკრების სადამდეგამდე იწყებდნენ და გუშინდელ ღამესაც უკვე „ბატესტაში" გაატარებდნენ.

*ილო ზედგინიძე:*

— პორტუგალიასთან მარცხზე მსჯელობა ახლა ცოტა მიჭირს. თამაშის გასაანალიზებლად დროც არ გვქონია. ამ დღეებში ალბათ ვიდეოჩანაწერს ვნახავთ და თავიდან ბოლომდე გავარჩევთ.

— უკრაინას როგორ უნდა ვეთამაშოთ?

— შაბათს რაგბის ცოდნით უნდა ვჯობნოთ... ყველაზე მეტად მაყურებლის ლამაზი თამაშით ვასიამოვნებთ. ამიტომ თავს არ დავზოგავთ, რათა ჩვეულ მონდომებასთან ერთად გააზრებული ბურთაობაც ვაჩვენოთ, უკრაინელებს კი, როგორც ვიცი, ფიზიკურად ძლიერი ნაკრები ჰყავთ.

*ირაკლი აბუსერიძე:*

— ჩვენი უმთავრესი ამოცანა ერთა თასის ორწლიან ციკლში პირველი ან მეორე ადგილის დაკავებაა. 2007 წლის მსოფლიოს თასის საგზურის მოსაპოვებლად მანამდე დარჩენილ ყველა თამაშს ოქროს ფასი ექნება, ამიტომ უკრაინასაც უნდა მოვუგოთ და უფრო ძლიერებსაც.

— პორტუგალიურ მარცხს რითი ახსნით?

— სამწუხაროდ, იმ თამაშში მეტოქე ჩვენზე ორგანიზებული აღმოჩნდა და მებრძოლი სულისკვეთებაც უკეთ გამოავლინა. ბოლომდე იბრძოლა და მოგებულიც დარჩა. ის თამაში ჩვენთვის მწარე გაკვეთილია, მაგრამ წინ კიდევ ბევრი პრინციპული მატჩია.

**ოთარ მაღლაკელიძე**





ილო ზედგინიძე



# დიდი ზარალი ციცქნა ქვეყანაში

## ერთი დაგვიანების ფასი




ნაკრებს პოლონეთში ირაკლი კეკელიძე გაუძღვება

**აქტიურად** შეუდგა საქმიანობას საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის ახლადარჩეული პრეზიდიუმი. ახალი პრეზიდენტის მამუკა სხიერელის თერთმეტკაციანმა გუნდმა ერთ თვეში ოთხი სხდომა გამართა. განიხილეს ორგანიზაციულ-სტრუქტურული საკითხები და საოთანადო დადგენილებებიც გამოიტანეს. დამტკიცდა ეროვნული ნაკრებების (პირველი, ახალგაზრდული, ჭაბუკთა) მწვრთნელების შერჩევა-არჩევის დებულება.

ზაფხულში კენჭისყრა გაარკვევს მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ქართველ ხელბურთელთა მეტოქეების ვინაობას. იმ დროისთვის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვინაობაც გახდება ცნობილი და გუნდი საიანვრო ტურისთვის მზადებას შეუდგება.

ახალგაზრდულ ნაკრებს კი ერთ თვეში მოუწევს 21-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრში გამოსვლა. ოთხგუნდა ტურნირი 24-26 მარტს პოლონეთის ქალაქ პოზნანში გაიმართება. ჩვენს ბიჭებს მეტოქეობას ფრანგი, რუსი და პოლონელი თანატოლები გაუწევენ. ნაკრების მწვრთნელად დანიშნულია „სტუ-შევარდენის" მესაჭე ირაკლი კეკელიძე.

აღსანიშნავია, რომ გუნდი ძირითადად სწორედ საქართველოს უცვლელი ჩემპიონის წევრებითაა დაკომპლექტებული.

ნაკრები პოლონეთში გამგზავრებამდე თბილისში ორკვირიან შეკრებას გაივლის. ცნობისთვის, ჩვენს მეტოქე რუსებს ნოვოგორსკის ჩინებულ ბაზაზე შეკრებაც ექნებათ და უკრაინაში, ზაპოროჟიეს საერთაშორისო ტურნირში თამაშსაც მოასწრებენ.

პოლონური მზადების გამო შეიცვალა საქართველოს 2004-05 წლების ჩემპიონატის მეორე წრის ვადები. თამაშები 14 მარტის ნაცვლად პირველში დაიწყება თბილისში, ერთი კვირის შემდეგ კი ბათუმში გაგრძელდება.

ახლა ცუდზე: საქართველოს შარშანდელი ჩემპიონატის მესამე პრიზიორი „ქუთაისი" ნოემბერში ლუქსემბურგის „რედ ბოიზს" უნდა შეხვედროდა „ჩელენჯ ქაფის" გათამაშებაში. ქუთათურები ჯუჯა სახელმწიფოში ავტობუსით ჩავიდნენ და პირველ თამაშზეც თავიანთი ტრანსპორტით გამოცხადდნენ. მეორე დღეს საპასუხო მატჩის წინ კი გაუგებრობა მოხდა, მასპინძელთა წარმომადგენლების ლოდინში ჩვენს გუნდს დარბაზში მისვლა დააგვიანდა და ტექნიკური წაგება (0:10) ჩაეთვალა. ლუქსემბურგელებმა ევროპის ხელბურთის ფედერაციაში საჩივარი აფრინეს, მატჩის ჩაშლით დიდი ზარალი ვნახეთო. ფედერაციის ჩინოვნიკებმა ზარალი ათი ათას ევროდ შეაფასეს, თან თავის მხრიდან დისციპლინარული ჯარიმა 7500 ევროც წაამატეს და გამოვიდა, რომ „ქუთაისს" სუბიექტურ-ობიექტური მიზეზების გამო უთამაშებლობა 17 500 ევრო დაუჯდება.

ჩვენი ხელბურთის ასოციაციამ ევროფედერაციაში პროტესტი შეიტანა, დაგვიანება ქუთაისელთა მიზეზით არ მომხდარაო. აპელაციას 24 თებერვალს განიხილავენ, რისთვისაც ასოციაციამ საპროტესტო წერილს ასეთ შემთხვევაში აუცილებელი თანხა, 750 ევრო დაურთო. თუ „ქუთაისს" გაამართლებენ, სანქციაც მოიხსნება და საპელაციო თანხაც უკან დაგვიბრუნდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალის გადახდამდე საქართველოს ნაკრებებს და კლუბებს საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლა აეკრძალებათ.

**გია ახალაძე**



# ლინკოლნცენტრში ჯაზმენებიც დარაზმულან

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელი კომისიის რუკაზე ნიუ იორკი მადრიდისა და ლონდონის მერე მესამე ქალაქი აღმოჩნდა, რომელსაც ისინიც ეწვივნენ.

შეგახსენებთ, რომ ეს ცამეტკაციანი გუნდი 400 მეტრზე რბენაში ოლიმპიური ჩემპიონის, მაროკოელი ნავალ ელ მუტავაკელის მეთაურობით 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ კანდიდატი ხუთი ქალაქის შესაძლებლობებსა და მზადყოფნას ამოწმებს.

ოკეანეს გაღმა კვირას ჩასული კომისიის წევრთა ვიზიტის პროგრამა ტრადიციისამებრ ითვალისწინებს სპორტული ბაზების დათვალიერებას, მისი სატრანსპორტო საშუალებათა შესაძლებლობების შესწავლას, გზების ვარგისიანობის შემოწმებას, სასტუმროების პირობების გაცნობასა და სხვა ათას მსხვილმანს თუ წვრილმანს. პროგრამაში, ცხადია, არის ოფიციალური მიღებებიც, მათ შორის ქალაქის მერ მაიკლ ბლუნბერგის რეზიდენციაში და ლინკოლნ-ცენტრში ჯაზმენთა კონცერტზე დასწრება.

სტუმართა ჩასვლისას მანჰეტენზე გამოჩნდა ოლიმპიური ტრანსპარანტები და პლაკატები, ხოლო საგანაცხადო კომიტეტის ემბლემებმა მეტროს 4000 ვაგონი, 7 000 ავტობუსი და 13 000 ათასი ტაქსი დაამშვენა.

საინტერესოა, რომ ნიუ იორკი უკვე ახლავე აცხადებს ოლიმპიური თამაშების მისაღებად მზადყოფნას. მაიკლ ბლუნბერგის თქმით, ქალაქის ხელისუფლებამ „შარშან მიიღო მთელი რიგი ღონისძიებები და ბევრს მიაღწია, რათა ნიუ იორკი ოლიმპიური თამაშების ღირსეული მასპინძელი გამხდარიყო.

„ჩვენი პოზიციები ახლა განსაკუთრებით მტკიცეა. ამიტომაც, სრულ მზადყოფნაში ვართ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მისაღებად" — თქვა ქალაქის თავმა.

ნიუ იორკს აქამდე არასოდეს უმასპინძლია ოლიმპიური თამაშებისთვის. თუმცა, ბოლო ათი წლის განმავლობაში იქაურები შეუპოვრად ცდილობდნენ მის მიღებას. ამ უფლების მოსაპოვებლად განსაკუთრებით დიდი გულმოდგინებით დაიწყეს ბრძოლა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ.

ხელისუფალთა გამოანგარიშებით, იმ შემთხვევაში, თუ ნიუ იორკში ოლიმპიური თამაშები გაიმართება, ამ ქალაქის ეკონომიკა ინვესტიციების სახით 12 მილიარდი დოლარით გამდიერდება.

ამერიკის უდიდეს ქალაქში დაგეგმილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციების შტაბბინის მახლობლად, ისტ რივერის გაღმა, კვინსის რაიონში ოლიმპიური სოფლის მშენებლობა. ფიქრობენ, რომ ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ იქ განთავსებულ ნაგებობებს საცხოვრებლად გაყიდიან.

— განზრახულია აგრეთვე მანჰეტენის დასავლეთით ოლიმპიური სტადიონის მშენებლობა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა კონვენშენ-ცენტრი, ხოლო მეტროს ხაზები საგრძნობლად დაგრძელდა, რათა ერთმანეთს დაუკავშირონ ეს ობიექტები.

ამას გარდა, ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პერიოდში ნიუ იორკში დამატებით გამოჩნდება 135 000 სამუშაო ადგილი — თქვა ბლუნბერგმა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელი კომისიის წევრები ნიუ იორკის შემდეგ 9-12 მარტამდე პარიზს ესტუმრებიან. ხოლო ტურნეს 14-17 მარტს მოსკოვში დაასრულებენ.

2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობა საბოლოოდ გაირკვევა 6 ივლისს სინგაპურში, სოკ-ის 117 სესიაზე.

**ავთანდილ ჭყვიშელი**





როჯერ ფედერერი



ამელი მორესმო

# ოქრო-ბრილიანტიანი ჩოგანი თაროზე დარჩა

## მემფისის საერთაშორისო ტურნირი

მაგარსაფარი. საპრიზო 665 ათასი $

**ფინალი**

**კენეტ კარლსენი** (დანია) — მაქს მირნი (8, ბელარუსი) 7:5 7:5

31 წლის დანიელმა კენეტ კარლსენმა კარიერის მესამე ტიტული მოიღვაწა. მას აქამდე 1998 წლის ჰონგკონგობასა და 2002 წლის ტოკიობაზე ემარჯვა. შეგახსენებთ, რომ ტურნირის ფავორიტი ენდი როდიკი მას ნახევარფინალში ტრავმის გამო ვერ ეთამაშა.

## WORLD TENNIS TOURNAMENT

როტერდამი. მაგარსაფარი. საპრიზო 765 ათასი ევრო

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 5:7 7:5 7:6 (7:5)

მიუხედავად იმისა, რომ როჯერ ფედერერმა თავისი, მთელი როტერდამობისას უგებელი მოწოდება სწორედ ფინალში ათმო და ამას ზედ სეტიც მიაყოლა, ყველაფერი საბოლოოდ ისე მორჩა, როგორც უნდა მორჩენილიყო. ივან ლიუბიჩიჩმა ბოლომდე და კაცურად იომა, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ამჟრის პირველოსანთან ტოლსწორად პაექრობა სავსებით შესაძლებელია, თუმცა ნიკოლა ესკუდის ოთხიწლისწინანდელი ნაქნარის გამეორება ველარ შეძლო. შეგახსენებთ, რომ ხსენებულმა ფრანგმა საიმდროოდ ჯერაც არამოციაგებულ როჯერს სწორედ გადამწყვეტი სეტის ტაიბრეიკზე აჯობა. ახლა კი ფედერერი უკვე მაგრად ციაგებს და 2003 წლის ივლისის მერე გამართული მეთხუთმეტე ფინალიდან მეთხუთმეტეშივე იტიტულა, რითაც საკუთარივე რეკორდი დაიგრძელა. ეგებ თქვენც გახსოვდეთ, ღია პირველობათა ეპოქაში ანუ 1968 წლიდან ზედიზედ ყველაზე მეტი ფინალების მომგებ ბიორნ ბორგსა და ჯონ მაკინროის მიჯრით მხოლოდ 12-12 ფინალებში ემარჯვათ. სხვაფრივ — ეს ფედერერის 24-ე საკარიერო და მეორე საამსეზონო ჯილდოა. წლეულს მან დოჰაში და სწორედ იმავ ლიუბიჩიჩის წინააღმდეგ გადამწყვეტ შეხლაში მოიგო.

## PROXIMUS DIAMOND GAMES

ანტვერპენი. დეკობუსნო საპრიზო 585 ათასი $

**ფინალი**

**ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — ვინუს უილიამსი (3, აშშ) 4:6 7:5 6:4

ვინუს უილიამსს ამ ფინალის მოგებაღა აკლდა, რათა ტურნირის სამგზის ჩემპიონისთვის დათქმული ოქროთი და 1702 ბრილიანტით მოოჭვილი ჩოგანი მიეთვალა, მაგრამ ამელი მორესმომ უილიამსთა შეძლებულ ოჯახს მორიგი ჩაროზი პირთამდე გადავსებულ, 14600-იანქომაგიან სპორტის სასახლეში სულ მცირე ერთი წლით კიდევ ჩაურაზა. ნამატჩევს ვინუსი ჩიოდა, გადამწყვეტ მომენტში ისევ მუცლის კუნთმა მიღალატაო, რითიც თავის იმ ტრავმას შეგვახსენებდა, 2003 წელს მთელი ექვსი თვე რომ ჩაუგდო. მისთვის ეს უკვე ზედიზედ მე-11 უტიტულო ტურნირი იყო და აქვე შეგახსენებთ, რომ ამოტოლა ტიტულყაბზობა მას ადრე არასოდეს დამართნია. რაც შეეხება ამელი მორესმოს, მან კარიერის მე-16 ჯილდო ირგუნა და ამჟრის პირველოსან ლინდსი დევენპორტს უფრო მიუჭიდროვდა. ნამატჩევს ეს ლონიერი ფრანგოგო ხარობდა, რომ ტიტულთა რაოდენობით სახელიანი თვისტომ მარი პირსს შეეტოლა, თუმც იმასაც დასძენდა, რომ ამ უკანასკნელს — მისგან განსხვავებით — თექვსმეტიდან ორი დიდი მუზარადის ტურნირებზე უშოვნია. ჰოდა, აწი მეც რამე ეგეთის მოგებას ვეცდებიო.

**ლევან ქულაურაძე**





ელენა ისინბაევა

# დიდი დარბაზობა

## ელენა ისინბაევას მეთერთმეტე რეკორდი

**ათენის** ოლიმპიადის ორი ოქროს მფლობელმა, 34 წლის კელი ჰოლმსმა საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით დაკომპლექტებულ „ნორვიჩ იუნიონის" ბირმინგემის დარბაზთა გრან პრიზე 1000 მეტრზე რბენაში დამაჯერებლად გაიმარჯვა. ეს გახლდათ ჰოლმსის მეორე შეჯიბრება მიმდინარე სეზონში. მისი შედეგი იყო 2 წუთი და 35,39 წამი.

მიუხედავად წარმატებისა, კელი ჰოლმსს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია გამოვა თუ არა მადრიდში 4-6 მარტს დანიშნულ ევროპის ჩემპიონატზე.

„არ გამოვრიცხავ, რომ მადრიდში ჩასვლა-არჩასვლის ამბავი ბოლოწამს გადავწყვიტო. საქმე ის არის, რომ ბოლო პერიოდში როგორც მინდოდა, მთლად ისე ვერ ვივარშიჯე. თუმცა, დარჩენილი ორი კვირაც არ არის მცირე დრო. ერთი სიტყვით, იმისთვის, რომ საკუთარი ძალა ვირწმუნო, გარკვეული ხანი მჭირდება, აქ, ამ შეჯიბრებაში კი ჩინებულად ვიგრძენი თავი. კარგია, როდესაც, რაც არ უნდა გააკეთო, გულშემატკივარი მაინც მხარს დაგიჭერს" — განაცხადა ჰოლმსმა.

60 მეტრზე რბენაში ყველას ამერიკელმა ლეონარდ სკოტმა აჯობა. ამ შეჯიბრების დროს, ცრუ-სტარტის გამო სამი მონაწილე მოხსნეს დისტანციიდან. მათ შორის იყო ბრიტანელი, ანუ მასპინძელი მარკ ლუის-ფრენსისიც, რომელიც ისე ცმუკავდა, რომ პირველმა სწორედ მან მოკურცხლა დროზე ადრე. მეორე ადგილზე გავიდა 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ჩემპიონი კიმ კოლინზი, რომელმაც 60 მეტრზე მსოფლიოს რეკორდსმენს და ვარჯიშებზე სკოტის მეწყვილე მორის გრინს აჯობა.

შესაბამისად, ვერ გაიმარჯვა ბოლოხანს დაუმარცხებელმა ჯეისონ გარდნერმა. იგი მეხუთე ადგილზე გავიდა და ახლა მადრიდში მოუწევს ევროპის ჩემპიონის ტიტულის დაცვა.

„მართლაცდა, ყველა გარბენში ხომ ვერ გავიმარჯვებ, — განაცხადა გარდნერმა შეჯიბრების შემდეგ — თუმცა გული ძალიან დამწყდა, ვინაიდან ფაქტია, რომ ამაზე გაცილებით უკეთ დავრბივარ."

რუსი ელენა ისინბაევა კი ჭოკით ხტომაში თავისივე, სულ რაღაც ექვსი დღის წინ დამყარებულ რეკორდს ებრძოდა, მეტოქეობას კი „ნეშენალ ინდორ არენაზე" თანამემამულე სვეტლანა ფეოფანოვა უწევდა. ისინბაევას ახალი რეკორდი 4,88 მეტრია. ეს იყო ისინბაევას მეთერთმეტე „სადარბაზო" რეკორდი 2003 წლის ივნისის შემდეგ.

„ბედნიერი ვარ და ყველა ღონეს ვიხმარ, რათა უახლოეს პერიოდში ხუთ მეტრიან ბარიერს ავცდე" — განაცხადა 22 წლის მხტომელმა.

ქალთა 60 მეტრიან სპრინტში პირადი რეკორდით (7,13 წ'მ) გაიმარჯვა იამაიკელმა ტაინა ლოურენსმა, ხოლო მისმა თანამემამულემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვერონიკა კემპბელმა 200 მეტრზე დაუმარცხებელ გარბენთა რაოდენობა ოცდახუთამდე აწია. ვაჟებში იმავე დისტანციაზე გაიმარჯვა ბრიტანელმა კრის ლამბერტმა.

მიმდინარე სეზონი საოცარი წარმატებებით დაიწყო სარა კლექსტონმა, რომელმაც 60 მეტრზე თარჯრბენში ამჯერადაც აჯობა სტრიოზულ კონკურენტებს, მათ შორის 100 მეტრზე თარჯრბენის ოსტატს და ორგზის ოლიმპიურ ბრინჯაოს მედალოსანს მელისა მორისონს. 25 წლის ბრიტანელმა დისტანცია 7,98 წამში გაირბინა, ხოლო წინასწარ ფავორიტად შერაცხულმა ირინა შევჩენკომ მეექვსე ადგილზე უმჯობესი ვერაფერი შეძლო.

საცოლეს მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ვერა და ვერ შედის ფორმაში 10 ათას მეტრზე რბენაში ოლიმპიური ჩემპიონი კენენისა ბეკელე, რომელმაც ორ მილზე ეთიოპიელ მარკოს გენეტისიან წააგო.

სიგრძეზე ხტომაში ერთხელაც დაამტკიცა მაღალი კლასი შვედმა კაროლინა კლუფტმა. იგი 6,69 მეტრზე გადახტა და თვით ჯეიდ ჯონსონს აჯობა.

**ტუტა სიხარულიძე**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# გმირი დაბრუნდა



REUTERS ლონდონიდან

აჰა, სამშობლოს მოაწია დედამიწის გარშემო მარტოდ მონაოსნე ელენ მაკარტურმა. ამ მავარმა ქალმა გარსაქვეყნო ცურვას 71 დღე და 14 საათი მოანდომა და ახალი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. ტემზაში შემოცურებულ ელენს უამრავი ლონდონელი დაუხვდა.



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

# მხედარი

ესეც ციგა და ესეც მისი პატრონი. სოლტ ლეიკ სიტიში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვებული ეს იტალიელი, მოდგმით ტიროლელი ამინ ზოგელერი შეიქნა. მეორე და მესამე გერმანელები იყვნენ — გეორგ ჰაკლი და დავიდ მიოლერი.

# უნდა შემოწმდეს

მთაკაცი უოლტერ გუდერი დაცვის ოფიცერია დაიტონა ბიჩზე, იქ, სადაც ამერიკელთათვის საყვარელი დაიტონა-500-ის გიჟური რბოლები ტარდება. ისეთი დროა, რომ ყველა მანქანა უნდა შემოწმდეს. დაიტონა-500 კი უკვე 47-ედ იმართება.



REUTERS დაიტონა ბიჩიდან



REUTERS სენტ მორიციდან

# სენტმორიცული დოღი

ასეთ რამეს მხოლოდ სენტ მორიცში ნახავთ, მდიდრულ სამთო კურორტზე. შვეიცარიაში ასწლეულებია, რაც ზამთრის დოღი ტარდება. ხელობა ძნელი და სახიფათოცაა, რადგან შეჯიბრი მოყინულ ტბაზე მიმდინარეობს.



REUTERS სენტ მორიციდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხოძერია, კაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კოპილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მიხაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge